ალია

~~1 ლარი~~ 70 თეთრი

N32 /2962/ 4 მარტი 2014 წ ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

## მარგველაშვილს ვეტოს უფლებას ართმევენ?



## რა დავალებით შემოდის ამერიკული ავიამზიდი შავ ზღვაში



### რას იზამს კრემლი?



## კრიზისების მართვის საბჭომ სხდომა გამართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მთავრობის კანცელარიაში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა გაიმართა. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრთან არსებულ საბჭოს სხდომაზე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები განიხილეს.

„უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს წევრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი შეაჯამეს. ისაუბრეს აღნიშნული ვიზიტის შედეგების განხორციელების საკითხებზე. საბჭოს წევრებმა, ასევე, განიხილეს უკრაინაში არსებული კრიზისი და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები“, – ნათქვამია პრესრელიზში. (ფრონტნიუსი)

## რა ტყუილში ადანაშაულებს უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე თეა წულუკიანს?



## როგორ დაარტყამს რუსეთ–უკრაინის დაპირისპირება საქართველოს ეკონომიკას?



## დიდმარხვა დაიწყო



3 მარტიდან დიდმარხვა დაიწყო. დიდმარხვის პირველი და ბოლო კვირა განსაკუთრებით მძიმეა. მარხვის პირველ დღეებში ტაძარში წირვა არ სრულდება, სრულდება სპეციალური საგალობლები და ლოცვები. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს იკითხება წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი. ოთხშაბათსა და პარასკევს ტაძრებში სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია. პარასკევს საღამოს კი ლოცვაზე იკურთხება წანდილი. დიდმარხვა აღდგომამდე შვიდი კვირით ადრე იწყება და განსაკუთრებით მძიმეა.

მარხვის დროს არ შეიძლება ხორცისა და რძის ნაწარმის მიღება, ხოლო თევზით ხსნილი მხოლოდ ხარებისა და ბზობის დღესასწაულებზეა. გარდა ამისა, მარხვის პირველ კვირაში მორწმუნეები მხოლოდ უზეთო საკვებს მიიღებენ. ეს არის დღეები, რომელიც ამზადებს ქრისტიანებს ბრწყინვალე აღდგომისთვის. მარხვაში ადამიანს ევალება, გააძლიეროს ლოცვა, ილოცოს თავისი მოყვასისა და სამშობლოსათვის.

დიდმარხვა 20 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე დასრულდება. (ინტერპრესნიუსი)

## რატომ შექმნა, კრემლმა „გორჩაკოვის ფონდი“ და რა მისიით ჩამოვიდა საქართველოში?



## რისთვის ჩამოვიდნენ ეხლა და რა მოხდა რუსი და ქართველი ექსპერტების დახურულ შეხვედრაზე?



ექსკლუზივი

## რუსეთში პროდუქტების დეფიციტია?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ილია მეორემ შენდობა ითხოვა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შენდობა ითხოვა. ამის შესახებ უწმინდესმა და უნეტარესმა 2 მარტს საღამოს სამებაში ბრძანა, სადაც შენდობის ლოცვები იკითხებოდა.

როგორც ილია მეორემ აღნიშნა, დღეს ყველამ უნდა ჩაიხედოს საკუთარ გულში და უფალს შენდობა სთხოვოს. „მეც ვიხედები ჩემს გულში და ვხედავ მხოლოდ ცოდვებს. რაც მე ჩემი თავი მახსოვს, მახსოვს ჩემი ცოდვები. შევთხოვ უფალს და შეგთხოვთ თქვენ, მეუფენო, მამანო, ძმანნო და დანნო, შემინდეთ მე შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი თუ უნებლიეთნი“, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა ასევე ადამიანის რაობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც მიტევება შეუძლია. „ვინ არის ადამიანი?! რას წარმოვადგენთ ჩვენ?! უპირველეს ყოვლისა, ადამიანი შექმნილია ხატად ღვთისა და მსგავსად ღვთისა. ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია მიტევება, მაგრამ ხდება ის, რაც ძნელი ასატანია. შენ მიუტევებ, ის არ მოგიტევებს. შენ სიკეთეს უკეთებ, ის ბოროტებას. რა ეშველება ამ შემთხვევას?! ადამიანი ასევე შენდობას ღვთის წინაშე ითხოვს ქედმოხრილი და მუხლმოდრეკილი. ძალიან რთულია ადამიანი. შეიძლება ითქვას, აუხსნელია ადამიანის სულიერი და ფიზიკური ბუნება. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანი მაინც რჩება ხატად ღვთისა, როგორც ძვირფასი ბრილიანტი“, – ბრძანა ილია მეორემ. (ინტერპრესნიუსი)



# რისთვის ჩამოვიდნენ ეხლა და რა მოხდა რუსი და ქართველი ექსპერტების დახურულ შეხვედრაზე?

3 მარტს საქართველოში ჩამოვიდა ათი მოსკოველი ექსპერტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე სასაუბროდ. მოკლე კომენტარების გაკეთების შემდეგ საუბარი დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა.

რა პერსპექტივა გამოიკვეთა საუბრისას და რა იყო მნიშვნელოვანი მესიჯი რუსეთ-საქართველოს საკითხების განხილვისას?

**„ალია“ კომენტარისთვის პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს დაუკავშირდა:**

– რასაკვირველია, რაიმე კონკრეტულ რეცეპტამდე საქმე არ მისულა. პირდაპირ ვიტყვი, თავიდანვე გართულდა საერთო ენის მონახვა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კვალიფიციური ექსპერტები გახლდნენ იქითა მხრიდან და ცნობილი მეცნიერებიც: ფიოდორ ლუკიანოვი, რუსეთის პრეზიდენტთან არსებული საგარეო ურთიერთობის უსაფრთხოების საკითხთა პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ასევე ლეონიდ გრაჩევსკი, „გორჩაკოვის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი, სერგეი მარკედონოვი, ამერიკის სტრატეგიული და საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი და სხვები. რაც შეეხება შეხვედრას, სრული თანხვედრა პერსპექტივაზე არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ ორივე მხარისთვის მიუღებელია ქართულ-რუსული ურთიერთობების ისეთი მდგომარეობა, რაც დღეს არსებობს. თუმცა, წითელი ხაზების გაფერმკრთალებას არც ერთი მხარე არ უჭერს მხარს და ეს, რასაკვირველია, სერიოზული ურთიერთდაპირისპირების საგანი იყო.

**— კამათში სიცხარე იყო?**

– სერიოზულად ცხარე იყო, თუმცა ეს არანაირად არ ყოფილა ზღვარგადასული დაპირისპირება, უბრალოდ, მაღალი იყო სმენის კულტურა და თუ თითო ვარსკვლავს გამოვყოფდი მხარეებიდან, რომელიც საკუთარ პოზიციებს ძალიან კონსტრუქციულად აყალიბებდა, ქართული მხრიდან ეს იყო ივლიანე ხაინდრავა და რუსებიდან – სერგეი მარკედონოვი.

**— რამეზე შეთანხმდით?**

– ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო მათი პოზიცია, მიმღებლობისა და მიუღებლობის ზღვარის დადგენა, ეს იყო მხარეთა შორის ერთმანეთის გაცნობა და ძალების მოსინჯვა, რა თემებზეა პერსპექტიული საუბარი, გამომდინარე იქიდან, რა განწყობები აქვთ ჩვენს ექსპერტებს. ახალა ფაქტია, რომ საუბარი რაიმე განსაკუთრებულ დამოუკიდებლობაზე რუსი კოლეგებისა უფრო რთულია, ვიდრე ქართველებისა, რადგანაც საუბრისას ჩვენი მხარე არ ივიწყებდა იმას, რომ რაიმე ტიპის დიალოგის დაწყებას და ჰუმანიტარული პროგრამების განვითარებას, წინაპირობად უნდა ჰქონდეს ამ პროცესში ჩართულობა არა პოლიტიკოსების, არამედ კრიტიკულად განწყობილი რეალისტებისა, ასევე, უშედეგოდ მიგვაჩნია საკუთარი ხელისუფლების აპოლოგეტების ჩართვა ამდაგვარ კომუნიკაციებში. იქნება ეს დისკუსიები, თუ ცალკეული პროექტების განხორციელება, ჩემთვის ინფორმაციული გამოდგა თემა, რომელიც, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, გაჟღერდეს როგორც შემოთავაზება საქართველოსთვის არცთუ შორეულ მომავალში და ეს თემები არახალია, მაგრამ ნაკლებად მოწონებული იყო ჩვენი საზოგადოებიდან, რადგანაც ტერმინები, რაც აქამდე არ ჟღერდა რუსულ მხარესთან საუბრისას, ახლა გაჟღერდა და ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ტერმინი „კონფედერაცია“, „ფედერაცია“ და ტერმინი „ნეიტრალიტეტი“. ეს სამი მონაცემი ერთად აღებული, შეიძლება, ჩაითვალოს, როგორც რუსული ოცნება, მაშინ, როცა წლების წინათ მიუწვდომელი იყო რაიმე ტიპის გარანტიები რუსეთის მხრიდან ჩვენი ნეიტრალიტეტის დასამკვიდრებლად. მატარებელი უკვე გავიდა ამ თემაზე მსჯელობის და რაც უფრო ვუახლოვდებით ევროპასთან ასოცირების თარიღს, უკუსვლა არ იქნებოდა გამართლებული ჩვენს საგარეო პოლიტიკაში. მით უმეტეს, სანდოობის იმ ხარისხის გათვალისწინებით, რაც დღეს ცივილიზებულ სამყაროს აქვს რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების მიმართ.

**— საკმაოდ მძიმე დროს შეხვდით ერთმანეთს, იმ პერიოდში, ლამის ომი რომ დაიწყოს რუსეთსა და უკრაინას შორის.**

– ისე მკაფიო, როგორც საუბრობს რუსეთის ტელევიზია, რუსი ექსპერტების გამონათქვამები არ იყო, თუმცა, ერთმა გამომსვლელმა ილაპარაკა კრემლის პოზიციებიდან და ითქვა ისიც, რომ არც რუსეთის და არც უკრაინის მხარე არ მოქმედებს კონკრეტული გეგმით, რომ ეს უფრო ემოციაა და თქვენ რომ დარდობთ თქვენს მავთულხლართებს, მალე ჩვენც ისეთ მდგომარეობაში, შეიძლება, აღმოვჩნდეთ, რომ ჩვენი სიბრალულით გული მოგიკვდეთო.

**— აუფ! არა უშავს, თვითკრიტიკა კარგია. რაც შეეხება ამ ხალხს, მათ „გორჩაკოვის ფონდი“ აფინანსებს, უკან რომ კრემლი უდგას და როგორ ფიქრობთ, ვის ჩაუტანენ ამ მესიჯებს თქვენი სტუმრები? შეიძლება, ეს ინფორმაცია კრემლში დამუშავდეს?**

– ჩვენ სწორედ მაგით ვიყავით დაინტერესებული, რომ ეს აზრები გაჟღერდეს, მოსკოვის რაც შეიძლება მაღალი იერარქიის ეშელონში, რათა მათაც ჰქონდეთ სწორი შეფასებების საშუალება. ეს შეხვედრა, ვერ გეტყვით, რომ ძალიან შედეგიანია, მაგრამ სასარგებლო იყო და კმაყოფილი ვარ ჩვენი მხარის მზადყოფნით, ჩვენი გამოსვლებით; ამას რეჟისორის მრავალთვიანი მუშაობა დასჭირდებოდა, ზუსტად ყველაფერი ასე აეწყო. ანუ, ქართული მხარის უპირატესობა აშკარად ჩანდა და ბოლოსკენ ის უკვე აგრესიულიც კი იყო. ასეთი შეხვედრები უნდა იყოს და ისევ ასე დახურულ სივრცეში. ჩვენ გვაქვს შეთანხმება, რომ არ გავაჟღერებდით, ვინ არის ავტორი ამა თუ იმ გამონათქვამის და შეხვედრასაც დეტალურად არ მიმოვიხილავდით. რადგანაც, შეხვედრა, მოგეხსენებათ, კონფიდენციალურია. ასეთი შეხვედრები შეუძლებელია, არ იყოს მიმართული პატარა სხივის შესამჩნევად და თუ ვინმე შეიძლება გაღიზიანდეს, ეს, ალბათ, ჩვენი თანამემამულეთა ის ნაწილია, ვინც არ არის თავისუფალი რუსეთის ზეწოლისგან და ცხოვრობენ კვლავ სეპარატისტულ რეგიონებში. რუსულმა მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ ქართველ ექსპერტებს უმასპინძლონ მოსკოვში თვის ბოლოს. ისინი ცდილობდნენ, დავერწმუნებინეთ, რომ რუსეთის ინტერესი საქართველოს მიმართ შემცირებულია უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, მაგრამ თავადაც არ გამორიცხავენ, რომ, თუ რუსეთი უკრაინის საკითხზე ამერიკასთან და ევროპასთან ჭიდილში დამარცხდა, მაშინ მას დარჩეს სურვილიც და შესაძლებლობაც, რომ „მოიცალოს“ საქართველოსთვის. მე განცდა გამიჩნდა და არ გამოვრიცხავ, რომ მალე ჩვენ, შეიძლება, ნეიტრალიტეტის სტატუსიც შემოგვთავაზონ.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ღარიბაშვილმა დედებს დედის დღე მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი დედებს დედის დღეს ულოცავს.

„გაზაფხულის დადგომასა და ლამაზ დღესასწაულს – დედის დღეს ვულოცავ ყველა დედას, მომავალ დედებს! საქართველოს ქალებზე, დედების სათნოებაზე, გმირობასა და თავდადებაზე იდგა ყოველთვის ჩვენი სამშობლო. მათ სიმტკიცესა და გამძლეობაზე დგას დღესაც ჩვენი ოჯახები. კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა დედას დღევანდელ დღეს. პირველ რიგში, ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და, რაც ყველაზე მთავარია, – შვილების ბედნიერ მომავალს“, – ნათქვამია პრემიერის მისალოც წერილში. (ინტერპრესნიუსი)

## აბაშიძე-კარასინის შეხვედრა 14 მარტს გაიმართება



საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე იმედოვნებს, რომ მასა და გრიგორი კარასინს შორის შეხვედრა 14 მარტს გაიმართება. მისი თქმით, შეხვედრა, რომელიც 4-5 მარტს იყო დაგეგმილი, ტექნიკური საკითხების გამო გადაიდო.

„14 მარტს იმედია, შევხდებით. შეხვედრა გადაიდო კარასინის წინადადებით. პოლიტიკა ამ შემთხვევაში არაფერ შუაში არ არის. მე ვფიქრობ, ეს იყო რაღაც ტექნიკური საკითხი, რომელიც უკავშირდება მის გრაფიკს“, – განაცხადა აბაშიძემ.

მისივე ვარაუდით, შეხვედრა, რომელიც 14 მარტს არის დაგეგმილი, არ ჩაიშლება. „ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ზოგადად, 14 მარტამდე კიდევ დროა... უმთავრესია, რომ ასეთი შეხვედრა თუ შედგება იყოს შედეგიანი. ამ შეხვედრაზე საუბარი იქნება დეოკუპაციაზე, დევნილების დაბრუნებაზე და ა.შ.“, – აღნიშნა აბაშიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტმა უკრაინის მოვლენებზე შესაძლოა, განცხადება მიიღოს

საქართველოს პარლამენტმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე შესაძლოა, კიდევ ერთი განცხადება მიიღოს. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელის, თედო ჯაფარიძის განცხადებით, მიმდინარე კვირას, როცა პარლამენტი სხდომებს განაახლებს, განცხადების მიღების საკითხზე იმსჯელებენ. სააგენტოს კითხვაზე, მმართველი გუნდი განიხილავს თუ არა უკრაინაში ჩასვლის საკითხს, ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ესეც მსჯელობის საგანია.

„უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, რომელიც არის მწვავე და მტკივნეული, ყურადღებით ვაანალიზებთ. თითოეული ნაბიჯი, იქნება ეს განცხადების გაკეთება, თუ უკრაინაში წასვლა, უნდა იყოს კარგად გათვლილი და გაანალიზებული. საქმე გვაქვს ძალიან ცბიერ და ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც მხოლოდ უკრაინა არა აქვს თავში. კარგად ვიცნობ რუსეთს, თუ რისი გაკეთება შეუძლია მას. არა ნაკლებად ვიცნობ დასავლეთს, თუ როგორი რეაგირება შეუძლია ამგვარ ნაბიჯებზე. ჩვენ ეს კარგად ვნახეთ 2008 წელს – მხოლოდ მძაფრი განცხადებების იმედად ნუ ვიქნებით“, – განაცხადა ჯაფარიძემ. (ინტერპრესნიუსი)



# მარგველაშვილს ვეტოს უფლებას ართმევენ?

**საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიამ პირველი სხდომა გამართა. საქართველოს პარლამენტი ითხოვს უფლებების გაზრდას, რათა უფრო უკეთესად აკონტროლოს მთავრობა და სამთავრობო სტრუქტურები. არ არის გამორიცხული, ამ მოთხოვნამ და საკონსტიტუციო ცვლილებებმა დაპირისპირება გამოიწვიოს პარლამენტსა და მთავრობას შორის.**

**თუ რა ცვლილებებზეა საუბარი კონკრეტულად, ამაზე „ალიას“ საკონსტიტუციო კომისიის წევრი, ავთანდილ დემეტრაშვილი ესაუბრება:**

– უნდა გაძლიერდეს პარლამენტის როლი, რათა მთავრობა უფრო მეტად გააკონტროლოს. კონკრეტულად ეს უნდა გამოიხატოს იმაში, რომ დასახვეწია კონსტიტუციის 81-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს უნდობლობის გამოცხადების ძალიან რთულ და ხანგრძლივ პროცედურას. დღეს პარლამენტის საკონტროლო ფუნქცია არის ძალიან დაკნინებული.

**— ანუ დასახვეწია უნდობლობის გამოცხადება მთავრობის მიმართ?**

– დიახ, უნდა გამარტივდეს უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, რომელიც ძალიან გართულებულია.

**— მოდით, ეს თემა ცოტა უფრო გავშალოთ... ამჟამად როგორ არის ეს საკითხი და როგორ უნდა იყოს?**

– ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, უნდობლობის გამოცხადება შეიძლება გაგრძელდეს 6-დან 12 თვემდე. ესე იგი, ამ დროის განმავლობაში შეიძლება იყოს მთავრობა, რომელსაც ნდობა არა აქვს, მაგრამ მაინც მართავს ქვეყანას. ეს უკვე არის ინსტიტუციური კრიზისი, რაც შემდეგ გადადის პოლიტიკურ კრიზისში.

**— თუ კონსტიტუციაში ცვლილებები შევა, რა ვადებზეა ლაპარაკი?**

– რაც მოკლე დრო იქნება, მით უკეთესი... მაგალითად, გერმანიაში ეს პროცედურა სულ რაღაც 2-3 კვირა გრძელდება. შეიძლება ჩვენ ნაკლები დროც კი ავიღოთ, ჩემი აზრით, უნდობლობის გამოცხადება უნდა დასრულდეს 2 კვირაში. გარდა იმისა, რომ ჩვენთან ეს პროცესი გრძელვადიანია, აქ პრეზიდენტიც არის ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ მე არ მინდა, მყავდეს მხოლოდ ცერემონიალური პრეზიდენტი, ის მაინც უნდა ჩამოვაშოროთ ამ საქმეს, ამ პროცედურაში არ უნდა მონაწილეობდეს.

**— პრეზიდენტი რა ფორმით არის ჩართული უნდობლობის გამოცხადების დროს?**

– ეს რომ ავხსნა, ცოტა შორიდან უნდა დავიწყო... მაგალითად, რაღაც მომენტში პარლამენტის ორი მეხუთედი პრეზიდენტს ეუბნება: დაასახელეთ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, დავუშვათ, ავთო დემეტრაშვილი... პრეზიდენტს შეუძლია, არ დამასახელოს, ანუ ჩემს კანდიდატურას დაადებს ვეტოს. იმისთვის, რომ პარლამენტმა ეს ვეტო გადალახოს, საჭიროა სამი მეხუთედი. ეს უკვე კვალიფიციური უმრავლესობაა. პრეზიდენტი პრემიერის კანდიდატურას ფორმალურად უნდა ასახელებდეს და მტკიცდებოდეს პარლამენტის უმრავლესობით.

**— ესე იგი, მარგველაშვილს კიდევ უფრო ეკვეცება უფლებები?**

– ასე გამოდის, მაგრამ სამაგიეროდ პარლამენტს ეზრდება უფლებები.

**— ამ ცვლილებების ავტორი ვინ არის?**

– ამ ეტაპზე შემოტანილი არ არის... მე ვიცი ვახტანგ ხმალაძის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ამაზე ჯერ კიდევ 2010 წელს გვაკრიტიკებდნენ და ეს სამართლიანი კრიტიკა იყო, მეც არ ვეთანხმებოდი ამ მექანიზმს, უბრალოდ უმრავლესობამ მაშინ ასე გადაწყვიტა. მაშინ არსებობდა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მიიღო ე.წ. განვრცობილი კონცეფცია. აი, იქ ჩაიდო ის საკითხი, რაზეც უკვე მოგახსენეთ.

**— როგორ ფიქრობთ, ეს ხომ არ გამოიწვევს პარლამენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირებას?**

– პარლამენტს ასეთი უფლებები უნდა ჰქონდეს, ის ხომ მაკონტროლებელი ორგანოა? ჩემი აზრით, 2016 წლამდე დაპირისპირების არავითარი შანსი არ ჩანს, პარლამენტში წარმოდგენილია ერთიანი პოლიტიკური სპექტრი, ასევეა მთავრობაში. გარდა ამისა, პარლამენტსაც ხომ უნდა ჰქონდეს საფუძველი, რომ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს?

**— თქვენ თვლით, რომ პარლამენტში სულ ისეთი ბულბულები სხედან, რომ მთავრობაზე მზე და მთვარე ამოსდით? არ დაგავიწყდეთ, იქ „პარადი“ „რესპუბლიკელებს“ მიჰყავთ.**

– მე არ ვიცი, კულუარებში როგორი სიამტკბილობა აქვთ... ზედაპირზე რასაც მე ვხედავ, იმაზე ვლაპარაკობ. წარმოიდგინეთ, დღეს პარლამენტის თავმჯდომარე მიდის პრემიერ-მინისტრთან კანონპროექტების განსახილველად, არადა პირიქით უნდა იყოს. აქ მე ვერ ვხედავ კონფლიქტურ სიტუაციას, ვერც დაპირისპირების წინაპირობას ვხედავ. თქვენს ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ ასე ვიმსჯელოთ: დავუშვათ, „რესპუბლიკელებს“ მოუნდათ მთავრობის გადაყენება, მათ პარლამენტში არა აქვთ საპარლამენტო უმრავლესობა. გარდა ამისა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება „რესპუბლიკელების“ წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. ამ პარტიას არა აქვს შანსი, რომ უმრავლესობით მოვიდეს პარლამენტში. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი.

**— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მხრივაც იცვლება რამე?**

– თუ თქვენ გულისხმობთ კონსტიტუციის გადასინჯვას ამ ნაწილში, ერთი რამ უკვე მოხდა: შეტანილია ცვლილება, ეს მოხდა 2013 წლის მარტში, რომლის მიხედვითაც, თუ პარლამენტი გარკვეულ ვადაში არ ამტკიცებს ბიუჯეტს, პრეზიდენტს აქვს უფლება, დაითხოვოს. ეს არის ჩადებული, მაგრამ მე არა მგონია, ერთიანმა პოლიტიკურმა გუნდმა ასეთი რაღაცა გააკეთოს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

## ნეპოტიზმი თბილისის მერიაში



პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი წევრი აცხადებს, რომ დედაქალაქის მერია მთლიანად ნათესავ-მეგობრობის პრინციპითაა დაკომპლექტებული.

„თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსად მუშაობს ლალი კოზმავა, რომელიც უფლებამოსილებაშეჩერებული მერის გიგი უგულავას ცოლის, ლელა კილაძის ბავშვობის მეგობარია. აღსანიშნავია ასევე ძმები ჩალაძეები, ერთ-ერთ ძმა ვასილ ჩალაძე მერიის გამწვანების სამსახურის უფროსის მოადგილეა, მეორე – ლევან ჩალაძე კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე. ძმები ჩალაძეები ყოფილ ვიცე-მერ დავით ალავიძესთან დაახლოებული პირები არიან. მათი მამიდაშვილი ირაკლი ჯაფარიძე დასაქმებულია კეთილმოწყობის სამსახურში, რაც შეეხება ძმებ ჩალაძეების ბიძაშვილს, ის დასაქმებულია გამწვანების სამსახურში. კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად დანიშნულია გიორგი ყოჩიაშვილი, გიგი უგულავას ექსმოადგილის ტარიელ ხიზანეიშვილის მეგობარი. რაც შეეხება თავად ყოჩიაშვილის მეგობრებს, ერთ-ერთი მათგანი გოჩა კელენჯერიძე კეთილმოწყობის სამსახურის ექსპლუატაციის განყოფილების უფროსია, მეორე, ბატონი ჯანაშვილი გარე განათებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი. საპროექტო სამსახურის უფროსს ბატონ კახის დასაქმებული ჰყავს ვაჟი, რძალი და გოგონა, ყოჩიაშვილის მოადგილე ნიკოლაძეს დასაქმებული ჰყავს ცოლისდა. რაც შეეხება მის მძღოლს, ის პარალელურად გაფორმებულია მთავარ სპეციალისტად“, – განაცხადა კანდელაკმა. (პირველი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დიდი რვიანის“ სამიტზე შვიდი ქვეყანა უარს ამბობს




„დიდი რვიანის“ სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობა შვიდმა ქვეყანამ შეაჩერა. უცხოური მედიის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, ასევე, ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტებმა რუსეთის მხრიდან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა დაგმეს. ამის შესახებ ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, რომელიც „თეთრი სახლის“ ვებგვერდზე გავრცელდა. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ლიდერის აზრით, რუსეთმა დაარღვია ის პრინციპები, რომლითაც „დიდი რვიანი“ მუშაობს. აქედან გამომდინარე, შვიდი ქვეყნის ლიდერმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინათ „დიდი რვიანის“ სამიტის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც სოჭში, ივნისში იყო დაგეგმილი. ეს პაუზა კი გაგრძელდება მანამ, სანამ ვითარება არ დარეგულირდება.

შვიდი ქვეყნის ლიდერმა რუსეთს მოუწოდა, ყირიმის საკითხი უკრაინასთან პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, ან საერთაშორისო შუამავლების მეშვეობით, მაგალითად, გაერო-ს მეშვეობით გადაწყვიტოს. (ინტერპრესნიუსი)

## ხიდაშელი რუსეთის იზოლაციას არ ეთანხმება



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი რუსეთის წინააღმდეგ, ევროსაბჭოს ფარგლებში „კონკრეტული ქმედებების“ განხორციელების ორგანიზებას ახდენს. როგორც ხიდაშელმა განაცხადა, ამ მიზნით „ლიბერალ-დემოკრატიულ“ პარტიასთან, რომლის ვიცე-პრეზიდენტიც თავად არის, უკვე ჰქონდა კომუნიკაცია.

„რესპუბლიკურმა პარტიამ“ მიმართა ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებს დასავლეთში და ვთხოვეთ, რომ ერთობლივად გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ ყირიმში უფრო მეტი გართულებები აღარ იყოს. მე პირადად, როგორც „ლიბერალ-დემოკრატების“ ვიცე-პრეზიდენტმა ამ პარტიაში ასევე გავაგზავნე კომუნიკაცია, რომელსაც ძალიან აქტიური მხარდაჭერა აქვს და რომლითაც ვითხოვდი ევროსაბჭოს ფარგლებშიც (მიუხედავად იმისა, რომ ეს არაა ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია) დადგეს კონკრეტული შედეგი. სავარაუდოდ, ამ დღეებში პარტია გააკეთებს განცხადებას კონკრეტული ქმედებების შესახებ, მათ შორის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომის მოწვევის თაობაზე, რომელიც რუსეთის საკითხს განიხილავს. ევროსაბჭოს აქვს რამდენიმე ბერკეტი – დაწყებული ხმის შეჩერებით, დამთავრებული ქვეყნის გარიცხვით. მე არ ვარ მომხრე რუსეთის იზოლაციის – ის გაცილებით საშიში გახდება, მაგრამ აუცილებელია, რომ ყველა შუალედური მექანიზმი იქნას გამოყენებული მის მიმართ“, – განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე შეფასებით, რუსეთი უკრაინაში სრულმასშტაბიან აგრესიას ახორციელებს.

ხიდაშელის პუტინთან საქართველოს ხელისუფლების პირველ პირთა შესაძლო შეხვედრასაც ეხმაურება: „პრემიერი უნდა შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს, რადგან საუბარია ხელისუფლების იმ წარმომადგენლების შეხვედრაზე, სადაც ძალაუფლება არის კონცენტრირებული. საქართველოში აღმასრულებელი ძალაუფლება კონცენტრირებულია პრემიერ-მინისტრის ხელში. ამაზე კონსტიტუცია ნათელ პასუხს იძლევა“, – განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე განმარტებით, შეხვედრიდან, რომელიც ორი ქვეყნის ხელმძღვანელ პირებს შორის შესაძლოა, მომავალში შედგეს, განსაკუთრებული მოლოდინები არ აქვს.

„ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ, რაც კი არსებობს, რომ მშვიდობიანად, მოსახლეობისთვის რაიმე საფრთხის განცდის გარეშე მოვაგვაროთ ის უზარმაზარი პრობლემა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში არსებობს. პატარა ბავშვი არ ვარ, მჯეროდეს, რომ ერთი შეხვედრით ყველანაირი პრობლემა მოგვარდება. ნამდვილად ვერ ვხედავ ვერც ერთ მიზეზს, რატომ უნდა ვთქვათ შეხვედრაზე უარი. შეხვედრაზე უარს ამბობენ ისინი, ვინც სუსტია და განცდა აქვს, რომ დამარცხდება. ჩვენ ძლიერი და მყარი პოზიციები გვაქვს ამ შემთხვევაში და თამამად და ამაყად წავალთ შეხვედრაზე“, – აღნიშნა ხიდაშელმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართველი კაპიტანი საქართველოში ჩამოასვენეს

ეგეოსის ზღვაში ოთხი თვის წინ ჩაძირული გემის, „სტელას“ გარდაცვლილი კაპიტანი ლევან თებიძე საქართველოში ჩამოასვენეს. გარდაცვლილის მეუღლის, ირმა ტარიელაშვილის განცხადებით, ბერძენმა მაშველებმა კაპიტნის ცხედარი გემის ჩაძირვის ადგილთან ახლოს, ნაპირთან 2013 წლის 30 ნოემბერს იპოვეს.

მისივე თქმით, ცხედრის იდენტიფიცირებას ორი თვე დასჭირდა, რის შემდეგ საბერძნეთში ლევან თებიძის ძმის დე-ენ-ემ-ის ანალიზი გაიგზავნა.

„ჩემი მეუღლე ბერძენ მაშველებს უპოვიათ 30 ნოემბერს, გემის ჩაძირვის ადგილიდან არცთუ ისე მოშორებით, ნაპირთან. ორი თვის განმავლობაში პროზექტურაში ყოფილა. ცდილობდნენ დადგენას, ვისი ცხედარი იყო. წონისა და სიმაღლის მონაცემები ჩემი მეუღლის მონაცემების იდენტური იყო, ამიტომ ერთი თვის წინ, ჩემს მაზლს სთხოვეს, დე-ენ-ემ-ის ანალიზის გაგზავნა. ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ გარდაცვლილი ნამდვილად ჩემი მეუღლეა. თბილისში ჩამოასვენეს ისე, როგორც კაპიტანს შეშვენის“, – აღნიშნა ირმა ტარიელაშვილმა.

გემი „სტელა“ 2013 წლის 2 ნოემბერს კუნძულ კარპატოსის მახლობლად ჩაიძირა. გემის ეკიპაჟი ექვსი ქართველი წევრისგან შედგებოდა. მათგან ხუთი უვნებელი გადარჩა, ხოლო კაპიტანი ლევან თებიძე რამდენიმე თვის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. (ინტერპრესნიუსი)

## რუსებმა ყირიმში სტრატეგიული ობიექტები დაიკავეს

რუსეთის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებმა ყირიმში სტრატეგიული სამხედრო ობიექტების დიდი ნაწილი დაიკავეს. ბოლო საათების განმავლობაში ბლოკირებულია ქერჩის მესაზღვრეების დანაყოფები, ასევე, დაძაბული ვითარება იყო ბალაკლავას დანაყოფში. მთლიანობაში კი, უკრაინის ფლოტში ვითარება დაძაბულია. ყირიმელი სამხედროები ამბობენ, რომ მათი მთავარი ტაქტიკაა, შეიარაღებული რუსი სამხედროების პროვოცირება არ მოახდინონ. თუმცა, რუსეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, მზად არიან, თავი დაიცვან. (ინტერპრესნიუსი)




# რა ტყუილში ადანაშაულებს უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე თეა წულუკიანს?

**დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს სიცრუეში ადანაშაულებს.**

„ქალბატონი თეა არ იყო გულწრფელი, როდესაც აკეთებდა განცხადებას „აი-დი“ ბარათებთან დაკავშირებით. ადამიანი არჩევნებზე მივა „აი-დი“ ბარათით თუ 2-ლარიანი პირადობის მოწმობით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საგანგაშოა, რომ მინისტრი ამბობს ტყუილს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის „აიდიზაცია“ მოახდინოს. ქვეყნის უსაფრთხოების საკითხის გადაჭრა არ ნიშნავს ამა თუ იმ პირის პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მოვუწოდებ ხელისუფლებას, გაითვალისწინონ მოსახლეობის 80%-ის აზრი და სურვილი – არსებობდეს „აი-დი“ ბარათის ალტერნატიული ფორმა“, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

**წულუკიანის რა სიცრუეზე ისაუბრა ცნობილმა უფლებადამცველმა და საერთოდ, რა ხდება ამ ბარათების აღებასთან დაკავშირებით?**

– ამ სიცრუეში იგულისხმება ის, რომ ქალბატონმა თეა წულუკიანმა თქვა, თუკი საარჩევნო ბიომეტრიული სიების გაკეთებას ვაპირებთ, ეს პირდაპირ კავშირშია აიდი ბარათების აღებასთანო. ამ დროს ეს არის ტყუილი. გამომდინარე იქიდან, რომ ბიომეტრიული სიების შედგენა დაკავშირებულია რეგისტრაციასთან: ამომრჩეველი მიდის საარჩევნო უნაბთან, სადაც განთავსებულია დამრეგისტრირებელი ოპერატორი, რომელიც არეგისტრირებს პიროვნებას ნებისმიერი პირადობის მოწმობით, ეს იქნება ძველი მოწმობა, თუ „აი-დი“ ბარათი, თუ პასპორტი, ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და ბიომეტრია გულისხმობს სწორედ იმას, რომ ოპერატორი ამ რეგისტრაციას ახდენს სახის ფორმის მოყვანილობით, ანუ სახის ბიომეტრიით და თითის ანაბეჭდით.

**— და რა კავშირშია ეს „აი-დი“ ბარათის აღებასთან?**

– არავითარ კავშირში არ არის. სხვათა შორის, ქალბატონმა თეამ ეს განცხადება რომ გააკეთა, მას ამაში არც გედევან ფოფხაძე დაეთანხმა და არც დავით ზურაბიშვილი. ანუ, საკუთარი გუნდის წევრები და ესაა ძალზე მნიშვნელოვანი.

**— და როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდა მინისტრს ამის თქმა?**

– ჰოდა, საქმეც მაგაშია, რომ ეტყობა, „აიდიზაციის“ მომხრეები უკვე მიდიან ყველაფერზე და, მათ შორის, სიცრუეზეც, რათა ადამიანებს თავს მოახვიონ სიცრუე და ესაა ძალზე საგანგაშო. მიზანი ამართლებს საშუალებას, – ამ პრინციპით მოქმედებენ, მიზანი კი არის, ეტყობა, ის, რომ მათ უნდა შეასრულონ ყველა ის დავალება, რასაც პარტნიორები ავალებენ. ეტყობა, შტატებში მათ პირდაპირ მოსთხოვეს „აიდიზაციის“ პროცესის დაწყება და დაჩქარება და ასევე, ეტყობა, ევროპასთან ასოცირების პარაფირებაც ამასვე მოითხოვს დღევანდელი ხელისუფლებისგან. ამიტომაც განაცხადა ქალბატონმა თეამ, რომ აგვისტომდე არის ძალზე სენსიტიური პერიოდი, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მშვიდობით მივაღწიოთ აგვისტომდეო. ეს სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს „აიდიზაციის“ პროცესის დასრულება საქართველოში.

**— მართლაც ასეთი საშიშია ეს ბარათები? თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– საქმე ისაა, რომ ორივე მთავარი საკითხი, პირადი ცხოვრება და რელიგიური თავისუფლება არის ხელშეუხებელი და ევროპული კონვენციებით გამყარებული. ნებისმიერი მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან, ადამიანს აქვს უფლება გამოხატოს თავისი ნეგატიური დამოკიდებულება და მოითხოვოს ალტერნატიული ფორმა, ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება ევროპაში, ასევე შეერთებულ შტატებში. სადაც „აი-დი“ ბარათის აღება კანონით არ აქვს დავალდებულებული მოქალაქეს და მას შეუძლია, ელემენტარულად, მართვის მოწმობით ან სადაზღვევო მოწმობით ისარგებლოს. ამ ქვეყნებში არის ამ ბარათების ალტერნატიულის აღების საშუალება და რატომ არ უნდა იყოს ეს საქართველოში? თუკი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი სტანდარტები არ ავალდებულებს, მაგალითად, ბრიტანეთსა და შვეიცარიას, რატომ უნდა გვავალდებულებდეს თეა წულუკიანი ამ ბარათების აღებას? ამაშია საქმე და ეს არის ძალიან პრინციპული თემა. აქ საფრთხესა და უსაფრთხოებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასა და საყოველთაობაზე, რომელიც არის მიუღებელი. არ დაგავიწყდეთ, არსებობენ რელიგიური ჯგუფები, რომლებიც მიზანშეუწონლად მიიჩნევენ ამას საკუთარი რელიგიური თვალსაზრისით და ჩვენ გვყავს ისეთი რელიგიური ნომინაცია, ჯარში რომ არ მიდის და ის სარგებლობს ალტერნატიული ფორმით, და რატომ არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 80%-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება? თქვენ გახსოვთ, რომ გრიგოლიას გადაცემაში ინტერაქტიული გამოკითხვა ჩატარდა და 31 000 ადამიანი იქნა გამოკითხული, აქედან 80 პროცენტი მხარს უჭერდა ალტერნატივის არსებობას. ეს, მე მგონი, მხედველობაში მისაღები ფაქტია, და თუ გავიხსენებთ, დარბაზში იმყოფებოდნენ ისეთი ნეოლიბერალები, იგივე ნათია კობერიძე, რომელიც აცხადებდა, რომ თურმე ადამიანები, რომლებიც უარს აცხადებენ „აი-დი“ ბარათის აღებაზე, საერთოდ მოქალაქეობის მიღმა უნდა დარჩნენ. გამოდის, ეს ხალხი მხარს უჭერს ადამიანების დისკრიმინაციას მათი შეხედულებისა და გამოხატვის უფლებიდან გამომდინარე. ეს უმძიმესი შემთხვევაა, მაგრამ, ჩვენ, საზოგადოება, თუ დავდგებით ერთად, მივაღწევთ ამ დემოკრატიული ნორმის ასახვას კანონში.

**— მე მეწერა ამას წინათ, რომ უმრავლესობა, იგივე ადამიანის უფლებების კომიტეტში, ბარათის ალტერნატივაზე თანხმდებამეთქი. რა ეტაპზეა ას საკითხი, ხომ არ იცით?**

– კი, მუშაობს, მაგრამ მუშაობს იმ ალტერნატიულ საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც კომიტეტს წარუდგინა საზოგადოების ერთმა ნაწილმა და კიდევ ერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, ანუ ორი პეტიციაა წარდგენილი. ჩემთვის ცნობილია, რომ ქალბატონი ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძეც მხარს უჭერენ ალტერნატიულ ვარიანტს და საერთოდ, იმ კომიტეტში აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს, რომ ალტერნატიული ფორმა „აი-დი“ ბარათისა იქნეს მიღებული.

**— აბა, რა ხდება?**

– ხდება ის, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაშია ძალიან მძიმედ მდგომარეობა და თეა წულუკიანი კატეგორიულად წინააღმდეგი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს. ამის იმედს მაძლევს ეკა ბესელიას კანდიდატურა და იმედი მაქვს, რომ ის და ფოფხაძე გაიმარჯვებენ.

**— ასევე გაისმა კულუარებიდან, რომ მნიშვნელოვანი გრანტია ამასთან დაკავშირებით გამოყოფილი...**

– მეც მსმენია ეს ამბავი. ამას ვუკავშირებ სწორედ იმას, რომ სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებს, როგორიცაა დევნილები, პედაგოგები, ახალგაზრდები 17-21 წლამდე, მათ სახელმწიფო უფასო „აი-დი“ ბარათებს აძლევს, თუმცა კითხვას ვსვამ, ამ შემთხვევაში 14-17 წლამდე მოზარდებმა რა დააშავეს? ამ დროს ეს ბარათი 33 ლარი ღირს.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ყველაზე უარესი უკან დარჩა



რუსეთის საგარეო და თავდაცვის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ფიოდორ ლუკიანოვის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ყველაზე უარესი უკან დარჩა.

„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, რა თქმა უნდა, ყოველთვის გამოცდის წინაშე დგება და ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, არ შეიძლება ამაზე არ აისახოს. მაგრამ, ამასთანავე, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე უარესი დრო ჩვენს ურთიერთობებში უკან დარჩა. პოლიტიკურ ხელმძღვანელობას როგორც მოსკოვში, ისე თბილისში კარგად ესმის, რომ მკვეთრი მოქმედებები კარგს არაფერს მოიტანს. ახლა ეს პრიორიტეტი არ არის, ცხადია, ახლა უფრო მწვავე საკითხები დგას, მაგრამ დეესკალაციის ის პროცესი, რომელიც წელიწადნახევრის წინ დაიწყო, მართალია ნელი ტემპებით მიდის, მაგრამ ურთიერთობების აღდგენის მიმართულებით ვითარდება. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ამ ტრაგიკულმა კრიზისმა უკრაინაში, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, დადებითი როლი ითამაშოს, იმიტომ რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული პრობლემების მთელი კომპლექტი, ასევე კომპლექსურ გადაწყვეტას საჭიროებს და ეს გადაწყვეტა უკრაინაში მიმდინარე ძვრების ფონზე შესაძლოა, უფრო რეალური იყოს, ვიდრე აქამდე“, – განაცხადა ლუკიანოვმა. (ინტერპრესნიუსი)

## წითელი ხაზების გადაკვეთა რუსეთს არ გაუვა



„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ხელმძღვანელის, სერგი კაპანაძის განცხადებით, რუსი ანალიტიკოსები უნდა დარწმუნდნენ, რომ არის წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთა რუსეთის ხელისუფლებას არ გაუვა.

მისი თქმით, ამ მხრივ მნიშვნელოვანია კონფერენცია. „გვეძლევა საშუალება, მოვისმინოთ რუსი ექსპერტების დამოკიდებულება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ. მე მაინტერესებს მათი დამოკიდებულება უკრაინის მოვლენების მიმართ. თუმცა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულება ოკუპაციისა და დეოკუპაციის მიმართ. ილუზიები არ უნდა გვქონდეს, რომ ამ შეხვედრებს ექნება შედეგი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა გაიგონ, რას ფიქრობენ საქართველოში მათი კოლეგები, რათა დარწმუნდნენ, რომ არის წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთა რუსეთის ხელისუფლებას არ გაუვა“, – განაცხადა კაპანაძემ. მისივე თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რუსმა ანალიტიკოსებმა იცოდნენ, რომ საქართველოში არის ცალსახა დამოკიდებულება მთელი რიგი საკითხების მიმართ.

„უკრაინაში მიმდინარეობს ტრაგიკული მოვლენები. რუსეთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ბოლომდე მოახდინოს ესკალაცია და ძალა გამოიყენოს. ამის შეჩერების რამდენიმე გზა არსებობს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრნაბიჯი იქნება საერთაშორისო საზოგადოების სრული მობილიზაცია. ამ დღეებში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება. ერთადერთი გზა, რომ პუტინი გააჩერონ, არის ის, რომ გააგებინონ მას, რომ მას მოუწევს ფასის გადახდა სამხედრო პროვოკაციისთვის. ორი რამ არის მნიშვნელოვანი, ძალიან კონსოლიდირებული საერთაშორისო პოზიცია და უკრაინელი ხალხისა და მთავრობის ძალიან მყარად დადგომა პუტინის წინააღმდეგ“, – განაცხადა კაპანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა დავალებით შემოდის ამერიკული ავიამზიდი შავ ზღვაში

## რას იზამს კრემლი?

7 მარტს ამერიკის საზღვაო შეიარაღებული ძალების ავიამზიდი შავ ზღვაში შემოვა. ამის შესახებ ინფორმაციას სამხედრო პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი დიმიტრი ტიმჩუკი საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე აქვეყნებს. ტიმჩუკის თქმით, 3 მარტს ავიამზიდი „ჯორჯ ბუში“, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მძლავრ სამხედრო ხომალდად ითვლება, ეგეოსის ზღვიდან შავი ზღვის მიმართულებით დაიძრა. უქმნის თუ არა საქართველოს საფრთხეს ამერიკული ავიამზიდის საქართველოში შემოსვლა, თუკი შავ ზღვაზე რაიმე სახის ესკალაცია მოხდა?

**„ალიას“ ესაუბრება სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე.**

– ამერიკული სამხედრო ხომალდების ან ავიამზიდების შემოსვლა არის პოლიტიკური ზეწოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და ეფექტური ბერკეტი. ფაქტობრივად, ეს არის უკრაინისთვის მხარდაჭერის ძალისმიერი მეთოდი. ფაქტია, რომ ევრაზიულმა კავშირმა უკვე ჩაილურის წყალი დალია და ამის განხილვა აღარც მიდის, რუსეთი ახლა ცდილობს, მაქსიმალური დივიდენდები დააგროვოს სავაჭროდ იმისთვის, რომ ყირიმში მის ყოფნას საფრთხე არ შეექმნას. ეს არის მთავარი თემა, რომლის შენარჩუნებასაც შეეცდება, რადგან ყირიმის დაკარგვა რუსეთისთვის, ფაქტობრივად, შავი ზღვის ფლოტის დაკარგვა. რუსეთი ყველანაირად შეეცდება, არ დაკარგოს ყირიმი და შესაბამისად, შავი ზღვის ფლოტი, რადგან ახალი ფლოტის შექმნა მას კატასტროფულად ძვირი დაუჯდება და რეალურად არც აქვს ამის რესურსი დღეს. 50 მილიარდი დაჯდა სოჭის ოლიმპიადა და აქ საუბარია მთელ სამხედრო ინფრასტრუქტურაზე, მომსახურე პერსონალის მომზადებაზე, რადგან ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობაა, მათ ვერ წაიყვანენ, პლუს ბევრი დამხმარე სიმძლავრეა საჭირო, რომელიც ოფიციალურად იქნება შესაქმნელი, ამიტომ რუსეთს ახლა მილიარდების დახარჯვის შანსი ახლა პრაქტიკულად აღარ აქვს, რის გამოც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყირიმთან მიმართებაში გავლენა შეინარჩუნონ.

**— ავიამზიდის შემოსვლა საქართველოს საფრთხეს არ შეუქმნის რუსეთის მხრიდან?**

– საფრთხეს ნამდვილად არ შეუქმნის, პირიქით, ეს არის ძალის დემონსტრირება. რუსეთმა ვერ მოახერხა და ვერ მოასწრო, გამოეყენებინა ის პერიოდი, როდესაც საქართველო მზად იყო მათთან პოლიტიკის კორექციისთვის, თუკი იქნებოდა მნიშვნელოვანი შემოთავაზება რუსეთის მხრიდან. საქართველო დღეს ასოცირდება ნატოსთან, ამიტომ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სხვა გარანტიები არ არსებობს და უკრაინის მოვლენებმაც დაადასტურა, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობა ფრიად სახიფათო ღონისძიებაა. აქედან გამომდინარე, ნატოს უკრაინისთვისაც კი ძალები არ ჰყოფნის და რამდენიმე ქვეყნის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების არც თავი გააჩნია, არც ფინანსები და არც საზოგადოება და პოლიტიკური წრეებია ამისთვის მზად. მე ვერ დავინახე ჯერჯერობით ვერანაირი მზადება, რომ ის აპირებს უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომს. მეორეა, თუკი მცირე ინციდენტები სამომავლოდ დიდი ომად გადაიქცა, მაგრამ დღეს ამ პოლიტიკური კრიზისის დაძლევას რუსეთი ცდილობს სამხედრო მუქარით, ამ მუქარის იმიტაციით და არანაირად არ **ჩვენთვის.**

– მე ნამდვილად არ გამოვრიცხავ ინციდენტებს. შესაძლოა, იყოს ნამდვილად პროვოკაციები, თავიანთი ლობისტები ჰყავთ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასაც და აფხაზებსაც. აფხაზებმა ნაკლებად, თუმცა ოსებმა შესაძლოა, იაქტიურონ ამ დროს და მოაწყონ მცირე ინციდენტები, ვინაიდან მათ ძალიან სურთ, რომ რუსეთი ჩაითრიონ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიან პროვოკაციაში, რადგან ოსებმა ვერ მიიღეს ის, რაც მათ უნდოდათ, პირიქით, საპირისპირო შედეგი დადგა. ასეთი ინციდენტები და პროვოკაციები ნებისმიერი ღონისძიება და ძალის დემონსტრირება პირდაპირ ხელს უწყობს საქართველოს უსაფრთხოებას.

**— ამ ფაქტთან დაკავშირებით პანიკა ატყდა სოციალურ ქსელებში, საზოგადოებამ ჩათვალა, რომ, თუკი ყირიმში სამხედრო მოქმედებები აქტიურ ფაზაში შევა, შესაძლოა, პარალელურად რუსეთმა საზღვრები გადმოსწიოს საქართველოში, მოაწყოს პროვოკაციები და ამიტომ გახდა საჭირო ავიამზიდის გამოგზავნა შავ ზღვაში. ამის საფრთხე არ არსებობს დღეს?**

– გარკვეულ ადამიანთა ჯგუფსა და გნებავთ, ექსპერტებს აქვთ მცდელობა, გარკვეული დივიდენდები მოიპოვონ ინტრიგაზე და ამიტომ მკვეთრ და დრამატულ განცხადებებს აკეთებენ. მარტივად ვთქვათ, რუსეთს ემზადება, პოლიტიკური კრიზისი გადაჭრას სამხედრო მოქმედებებით. რასაც რუსეთის აკეთებს ყირიმში ეს იმიტომ აღიქმება საფრთხედ, რომ ეს პროცესი არ უწყობს ხელს სიტუაციის დარეგულირებას, პირიქით ცეცხლზე ნავთს ასხამს და ამიტომაა საერთაშორისო თანამეგობრობა აღშფოთებული, რომ შეიძლება უმართავი პროცესები დაიწყოს, თორემ ყველა ხვდება, რომ რუსეთის მოქმედება არ არის რუსეთ-უკრაინის ომის მზადება, არამედ ეს არის სამხედრო ბერკეტების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის.

**— თუმცა საქართველოს საზღვრის გადმოწევას რუსეთი მაშინაც განაგრძობდა, როდესაც უკრაინაში სამოქალაქო დაპირისპირება მიმდინარეობდა. წესით, არც მაშინ უნდა მოეცალა**

გამორიცხული, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს მიზანმიმართული ქმედება იმისთვის, რომ საქართველოში საზღვარი გადმოსწიოს და ამით სამხედრო პლაცდარმი გაიფართოოს, გამორიცხულია, ყოველ შემთხვევაში დღეს მაინც. ახლა არც ერთი ნიშანი არ არის რუსეთის სახელმწიფოს მოქმედებებიდან, რომ შესაძლოა, რაიმე სამხედრო მოქმედებას გეგმავდეს საქართველოში. ამიტომ საპანიკო და საშიში, რომ ავიამზიდი შავ ზღვაში შემოვა, არაფერია, პირიქით, ეს მეტ გარანტიას გვიქმნის უსაფრთხოების კონტექსტში.

»» შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უსუფაშვილმა კონსტიტუციის შეცვლის აუცილებლობა განმარტა



სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, კომისია თავის საქმიანობაში მმართველი პოლიტიკური ძალის, „ქართული ოცნების“ ჩარჩოთი შეზღუდული არ იქნება.

„საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში ასახული და თავმოყრილია ჩვენი ბოლო 20 წლის ისტორიული ქარტეხილები. ამ ქარტეხილებში ხდებოდა კარგი და არცთუ ისე კარგი. ფაქტია, რომ დღევანდელი მოქმედი რედაქცია, რომელიც ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხებს არეგულირებს და სახელისუფლებო ბალანსს ადგენს, არის სრულიად განსხვავებული იმისგან, რაც ჩვენ 1995 წელს მივიღეთ. მას შემდეგ კონსტიტუციაში განხორციელდა 30-ზე მეტი ცვლილება. რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა რანგისა და დონის საკითხებს ეხებოდა. 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმა და შემდგომ 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები, პრაქტიკულად, ახალი კონსტიტუციის ელფერს ატარებდა. დღევანდელი მდგომარეობით, იმ საკითხებიდან, რომლებიც ეხება პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, 1995 წლის კონსტიტუციიდან ცოტა რამ თუ დარჩა. მინდა გავიხსენო, რა პირობებში მოხდა ეს საკონსტიტუციო ცვლილებები. ორივე შემთხვევაში საკონსტიტუციო ცვლილება განხორციელდა ერთი დომინანტი პოლიტიკური ძალის ნებასურვილით, მეტსაც ვიტყოდი, ერთი დომინანტი პოლიტიკური ლიდერის ნება-სურვილის შესაბამისად, რამაც სერიოზული დაღი დაასვა კონსტიტუციას“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, დღევანდელი რეალობა, რა პირობებშიც მოხდება საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადება, სერიოზულად განსხვავდება იმისგან, რაც იყო გასულ წლებში. უსუფაშვილმა აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ მათ კოალიციას სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ქმნიან. „მხოლოდ ერთი მიმართულებით მიგანიშნებთ: როგორი ცვლილებებიც არ უნდა მომზადდეს, მის მისაღებად საბოლოოდ საქართველოს პარლამენტში შვიდი პოლიტიკური პარტიის თანხმობა იქნება საჭირო. ის, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ მართლა კოალიციაა, ამაში ბევრჯერ დავრწმუნდი. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გაცხადებული აქვს, რომ მისი პოლიტიკური ერთობის ჰორიზონტი არის მომავალი საპარლამენტო არჩევნები. ყველა პოლიტიკური ძალა და პარტია თავს აღიქვამს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „როსსელხოზნადზორის“ წარმომადგენლები აშშ-ში არ მიიღეს

რუსეთის „როსსელხოზნადზორის“ წარმომადგენლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტზე უარი უთხრეს. როგორც „რია ნოვოსტი“ წერს, ამის შესახებ „როსსელხოზნადზორის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

მათივე ინფორმაციით, 3-6 მარტს, ვაშინგტონში, ყაზახეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების კონტექსტში, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები იმართება, რომელშიც რუსი ექსპერტებიც მონაწილეობდნენ.

„გაფრენამდე ერთი დღით ადრე, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან ელექტრონული ფოსტით შეტყობინება მოვიდა, ასევე, „როსსელხოზნადზორის“ უფროსის მოადგილესა და რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებების ხელმძღვანელს, ნიკოლაი ვლასოვს ტელეფონით აცნობეს, რომ რუსი ექსპერტების ვიზიტი აშშ-სთვის მიუღებელია“, – აცხადებენ „როსსელხოზნადზორში“.

ამასთანავე, მათივე ინფორმაციით, ყაზახეთის დელეგაცია ვაშინგტონში უპრობლემოდ გაემგზავრა. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოში მიწისძვრა მოხდა

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმოლოგიური ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრა 3 მარტს, 01:15 საათზე მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ახალციხიდან 11 კილომეტრში მდებარე სოფელ გურკელში იყო.

ბიძგების სიმძლავრემ 3,1 მაგნიტუდა შეადგინა. მას ნგრევა არ მოჰყოლია. (ინტერპრესნიუსი)



# რატომ შექმნა, კრემლმა „გორჩაკოვის ფონდი“ და რა მისიით ჩამოვიდა საქართველოში?

3 მარტს თბილისში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საზოგადოებრივი ცენტრი დაფუძნდა. როგორც აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, ალექსანდრე რუსეცკიმ განაცხადა, ცენტრი საექსპერტო ფორმატისაა და მასში როგორც ქართველი, ისე რუსი ექსპერტები იქნებიან წარმოდგენილები. პირველი შეხვედრა სასტუმრო „ციტადინში“ გაიმართა, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. არადა, რუსეცკის თქმით, ეს გახლავთ ჟურნალისტების პროექტი, რომლის ფარგლებშიც თბილისში მოსკოვიდან ჟურნალისტები ჩამოვლენ, მათი ქართველი კოლეგები კი საპასუხოდ რუსეთში გაემგზავრებიან. უცნაურია, ჟურნალისტებისთვის ხურავენ შეხვედრას, სადაც საუბარია ჟურნალისტებზე. მეორე პროექტი ითვალისწინებს ახალგაზრდა ლიდერების შეხვედრას, სადაც საუბარი იქნება საქართველო-რუსეთის სამომავლო ურთიერთობების შესახებ.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ცენტრის ხელმძღვანელი ზაზა აბაშიძე იქნება, ხოლო მისი ერთ-ერთი დონორი ორგანიზაცია – „გორჩაკოვის ფონდი“.

„ალია“ ზაზა აბაშიძეს ტელეფონით დაუკავშირდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის საავადმყოფოში იმყოფება (ოპერაცია გაუკეთეს, კონკრეტულად არ ასახელებს) და რა ხდება, ბევრი არაფერი იცის, ამ თემაზე არც საუბარი შეუძლია. ესეც უცნაურია, ქართულ-რუსული ურთიერთობების ცენტრს აბარებენ ადამიანს, რომელიც არც შეხვედრებს ესწრება, არც ცენტრის დაფუძნების პროცესს და ისიც არ იცის, რაზეა საუბარი საერთოდ. თუმცა, ხელმძღვანელი რომ იქნება, ეს დაადასტურა.

სხვათა შორის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ცენტრის შექმნის თაობაზე საუბარი ჯერ კიდევ 2013 წლის ივლისში დაიწყო. ალბათ, ბევრს არ ახსოვს, მაგრამ მაშინ კახა კუკავას პარტიის („თავისუფალი საქართველო“) ეგიდით პრესკონფერენციაც გაიმართა, რომელშიც „გორჩაკოვის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი, ლეონიდე დრაჩევსკიც მონაწილეობდა:

„ჩვენმა ფონდმა საქართველოში მუშაობა 2 წლის წინათ დაიწყო. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერა, რომლებიც სახალხო დიპლომატიით არიან დაკავებული. გარდა იმისა, რომ ჩვენ გავცემთ გრანტებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ვაწარმოებთ დიალოგს და ვმართავთ კონფერენციებს. საქართველოსთან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან ვიყავი დაკავშირებული, რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობა ფიზიკურ ტკივილს მაყენებს. გასული წლის მარტში, ჯერ კიდევ არჩევნებამდე ვამბობდი, რომ კარგი იქნებოდა, გვქონოდა ისეთი სივრცე, სადაც რუსი და ქართველი ინტელექტუალები შეიკრიბებოდნენ და ერთობლივად განიხილავდნენ არსებულ პრობლემებს“.

დრაჩევსკიმ მაშინ აღიარა, რომ „გორჩაკოვის ფონდი“ დაფინანსების 20%-ს სახელმწიფოსგან (რუსეთიდან) იღებს, დანარჩენს კი – შემოწირულობების სახით მოიპოვებს. კეთილი და პატიოსანი... მოდით, ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა 2011 წლის ივლისში, რა ინფორმაცია გვაქვს ამ ფონდის იმჟამინდელი საქმიანობის შესახებ?

„რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წარმომადგენელი, ადამიანის უფლებების დაცვის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი, ალექსანდრე ბროდი ამ დღეებში (2011 წლის ივლისში, – გ.ზ.) აფხაზეთს სტუმრობდა. იქ შეხვდა აფხაზ უფლებათა დამცველებს, მისი ვიზიტის მიზანი გახლავთ საზოგადოებრივი აზრის დადგენა საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში.

ბროდის თქმით, ის აქამდეც იყო ჩამოსული აფხაზეთში, კერძოდ, 2009 წლის დეკემბერში. მაშინ დამკვირვებლის ფუნქციას ასრულებდა არჩევნებში. მოსკოვი გააძლიერებს თავისი თანამემამულეების დაცვას, ახალი პროგრამები იქმნება მათი უფლებების დასაცავად. როგორც ბროდი აცხადებს, 2012 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მუშაობას დაიწყებს ახლახან შექმნილი ფონდი, რომელიც ატარებს გორჩაკოვის სახელს. მას ექნება სერიოზული დაფინანსება ბიუჯეტიდან. ეს ფონდი დააფინანსებს კვლევით სამუშაოებს, ჩაატარებს ისეთ სოციოლოგიურ კვლევებს, რომლებიც საინტერესო გახდება რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის განსაზღვრისთვის“.

კიდევ ერთი ფაქტი იმისა, რას წარმოადგენს აღნიშნული ფონდი: ის 2010 წელს შეიქმნა დიმიტრი მედვედევის ბრძანებით. ალბათ, აქ უკვე ყველაფერი გასაგებია და ის განცხადებებიც, რომ თითქოს ყველაფერი 2014 წლის 3 მარტს დაიწყო, ბლეფია... მეტიც, სააკაშვილის ხელისუფლების გადაშენების შემდეგ (მალევე) 12-კაციანი ქართული დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრა და რუსეთის სამთავრობო წარმომადგენლებს შეხვდა. მათ შორის იყო გრიგორი კარასინი, რუსეთის საგარეო უწყების მეორე პირი. მართალია, მაშინ ქართული დელეგაციის წევრებმა ამბავი ჩამოიტანეს, შეხვედრა ნამეტანი ნაყოფიერი და საინტერესო იყოო, მაგრამ იმითაც გაგვახარეს, რუსეთის სამთავრობო სტრუქტურებში პირდაპირ ამბობდნენ, ტერიტორიების შესახებ რუსეთის პოზიცია ურყევია და ამ ეტაპზე გადახედვას არ ექვემდებარებაო. ამ ვიზიტს „კავკასიურ სახლთან“ ერთად ორგანიზება გაუწია „გორჩაკოვის ფონდმა“. სხვათა შორის, ეს ფონდი (რუსეთის ხელისუფლების ფულადი დახმარებით) საქართველოში უკვე აფინანსებს რამდენიმე გამოცემას, რამდენიმე ტელეარხსა და რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს, რომლებსაც გაჩაღებული აქვთ ანტისახელისუფლებო კამპანია, ოღონდ ქვედა რგოლების წინააღმდეგ... აი, ისე, ზოგიერთმა რომ იცის: ბატონო ბიძინა, ბატონო ირაკლი, თქვენ კარგები ხართ, მაგრამ გარემოცვა და ხელქვეითები არ გივარგათო.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ყველაზე უარესი უკან დარჩა, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო და თავდაცვის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ფიოდორ ლუკიანოვმა თბილისში ყოფნისას განაცხადა. ცნობისთვის: სასტუმრო „ციტადინში“ გამართულ კონფერენციას ესწრებოდნენ – პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე, მისი მრჩეველი – გიორგი ქაჯაია, ყოფილი პარლამენტარი ბეჟან ხურციძე, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, პოლიტოლოგები კახა გოგოლაშვილი, თორნიკე შარაშენიძე, სოსო ცისკარიშვილი, თენგიზ ფხალაძე და სხვები.

ზურაბ აბაშიძის თქმით: ეს არ არის რაიმე ტიპის ოფიციალური შეხვედრა, მიმდინარეობს არაფორმალურ გარემოში და ეს არ უსვამს ხაზს, რომ მთავრობა ზედმეტად ჩართულია ამ შეხვედრაში“.

პრინციპში, არც უნდა იყოს ჩართული, მაგრამ ის ხომ გასარკვევია, რისთვის ხარჯავს ფულს რუსეთის ხელისუფლება საქართველოში და რა ინფორმაციები აინტერესებთ კრემლის დაფინანსებულ ექსპერტებს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თუ რუსეთი უკან არ დაიხევს, პუტინისთვის ეს კრახი იქნება



ექსპერტ თორნიკე შარაშენიძის განცხადებით, თუ რუსეთი უკან არ დაიხევს, ყველაფერი პუტინისთვის აბსოლუტური კრახით დასრულდება.

„ჩამოვიდნენ ყველაზე უფრო ადეკვატური და სერიოზული ექსპერტები. ისინი გამოხატავენ რუსული პოლიტიკის რაციონალურ მხარეს, თუმცა, რაც ხდება უკრაინაში, ადასტურებს, რომ რუსეთის პოლიტიკის რაციონალური მხარე აშკარად მეორე პლანზეა გადასული. წინა პლანზე კი არის აბსოლუტურად გაუგებარი, შავბნელი, ირაციონალური პოლიტიკა. ამნაირი ხალხი, რომელიც შედარებით რაციონალურად აზროვნებს, რუსეთის მთავრობას მოუწოდებს, უფრო მშვიდი, რბილი მიდგომებისკენ. როგორც ჩანს, მათი აზრი ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ იყო, სამწუხაროდ. რუსეთი გაცილებით ძლიერი იქნება, თუ იმოქმედებს მშვიდად, რაციონალურად და დალაგებულად. რასაც ვხედავთ, ამას ვერ დავარქმევთ გააზრებულ პოლიტიკას“, – განაცხადა შარაშენიძემ.

მისივე თქმით, ყველანაირი მცდელობა რუსეთის მხრიდან, რომ უკრაინის მთავრობა არალეგიტიმურად გამოაცხადოს, რომელიც ვითომდა ყირიმში რუსების უფლებებს არღვევს, სრული სიცრუეა.

„ამას ყველა ხვდება მსოფლიოში, ბუნებრივია, ამიტომ არის ასეთი სასტიკი და მძაფრი რეაქცია ცივილიზებული სახელმწიფოების მხრიდან რუსეთის პოლიტიკის მიმართ“, – განაცხადა შარაშენიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთმა უკრაინას ულტიმატუმი წაუყენა?

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი უკრაინას ულტიმატუმს უყენებს. მისმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ვიტკომ უკრაინელ ჯარისკაცებს მოსთხოვა, 4 მარტის 05:00 საათამდე ჩაბარდნენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიტკოს თქმით, „ყირიმში, უკრაინის შეიარაღებული ძალების ყველა ქვედანაყოფსა და ნაწილზე ნამდვილი შტურმი განხორციელდება“.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გავრცელებულ ინფორმაციას სისულელე უწოდა და განაცხადეს, რომ მსგავსი ბრძანება სამინისტროში არ გაუციათ. (პირველი)



# როგორ დაარტყამს რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება საქართველოს ეკონომიკას?

**რუსეთის ეროვნული ვალუტის კურსმა დაცემა დაიწყო. „ფორბსის“ რუსული გამოცემის ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, ბოლო დღეებში სავალუტო ჯიხურებში რუსული რუბლის დეფიციტია. პანიკაა ლონდონის ბირჟაზეც, სადაც, 3 მარტის მონაცემებით, მოიმატა ნავთობისა და ბუნებრივი აირის ფასმა.**

**„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრება.**

– უკრაინის პოლიტიკური კრიზისი უკვე გახდა უმწვავესი საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის მიზეზი და ბუნებრივია, მისი გავლენა, პირველ რიგში, რუსეთზე აისახება და უკვე ასეც არის. რუსეთს ისედაც ძალიან სერიოზული პრობლემები ჰქონდა ეკონომიკაში, მისი ვალუტა ისედაც არასტაბილური იყო და უკრაინის მოვლენებმა განაპირობა რუბლის უფრო სწრაფი ტემპით დაცემა. საფონდო ბირჟებზე თითქმის 10%-იანი დაცემაა აქციების ღირებულებისა. „გაზპრომმა“ უზარმაზარი წილი დაკარგა კაპიტალიზაციისა. ასე რომ, ეს ყველაფერი ძალიან მძიმე ასაქმელი იქნება რუსეთისთვის და მისგან თავის დაღწევა ექსტრემალური სწრაფი ღონისძიებებით ვერ მოხერხდება. პირველი მაინც ის არის, როგორი იქნება პოლიტიკური გადაწყვეტა უკრაინის კრიზისისა, რაკი რუსები ასეთ დიდ ზარალზე წავიდნენ და ასეთი ნაბიჯი გადადგეს, ისინი თავის გზით ეცდებიან თავიანთი შედეგის მიღწევას, თუმცა საეჭვოა, რომ გამარჯვებულები აღმოჩნდნენ უკრაინის საკითხში.

**— არის ხმები, რომ უკრაინის რუსულ რეგიონებსა და რუსეთშიც საქართველოს მოქალაქეების მიმართ აგრესია იზრდება. არადა საქართველოში ბევრ ოჯახს სწორედ ისინი ინახავენ?**

– მე ვფიქრობ, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების აქტიურობა უკრაინაში აგრესიას იწვევს ქართველების მიმართ და ისეთი ცალსახა პროცესიც არ არის, როგორც ამას მისი მომხრეები წარმოაჩენენ თბილისში. ასე რომ, ბუნებრივია, კრიზისის შემთხვევაში ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ჩვენი ემიგრანტები აღმოჩნდებიან. უკრაინასა და რუსეთში ასი ათასობით ადამიანია და სერიოზული დაპირისპირების შემთხვევაში, ანდა ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრად გაუარესების შემთხვევაში პირველი აგრესია გაჩნდება, ცხადია, სწორედ ქართველების მიმართ, მით უფრო, ყოფილი პრეზიდენტის აქტიურობა ამის საფუძველს აჩენს. ის, რომ რუსეთის ეროვნული ვალუტა საშინელი სისწრაფით ეცემა, ბუნებრივია, იმოქმედებს საქართველოს მოქალაქეების შემოსავლებზე. ამ ყველაფერს ვნახავთ მარტის ბოლოს, როცა მნიშვნელოვნად შემცირდება გადმორიცხვები უკრაინიდანაც და რუსეთიდანაც. ეკონომიკაზე აქ საუბარი აღარც არის, აქ უკვე პოლიტიკური კრიზისია. ჩვენი მოქალაქეებისთვის, როგორც უკრაინაში, ისე რუსეთში, კარგი დღე რომ არ დგება, ეს ნათელია.

ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე სერიოზულ ძალოვან დაპირისპირებამდე მივიდეს საქმე, თორემ ქაოსი და ფასების ზრდა მერე ნახეთ თქვენ. საქართველოსთვის ყველაზე საშინელი იქნება ამ პოლიტიკური კრიზისის მოუგვარებლობა, ვინაიდან პრაქტიკულად დაუცველები ვართ. გლობალურადაც ყველა დაუცველია, გარდა დიდი სახელმწიფოებისა, რომლებიც როგორღაც მოახერხებენ ამ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას. ჩვენ კი ამის მსგავსი არაფერი გვაწყობს.

**— უკრაინა არის დღეს ხორბლის ერთ-ერთი ექსპორტიორი საქართველოში, ხომ არ არის მოსალოდნელი პურზე ფასის გაზრდა?**

– ხორბლის ჩანაცვლება ყოველთვის შეიძლება. ვინც ამ სფეროშია დასაქმებული მათ ძალიან კარგად იციან, რომ ალტერნატივები არსებობს. ცხადია, უკრაინის კრიზისი საქართველო-უკრაინის ეკონომიკურ ურთიერთობას პრობლემებს უქმნის, თუმცა საქართველოს ეკონომიკა იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ კრიზისს მასზე რაიმე სერიოზული გავლენის მოხდენა არ შეუძლია, ვინაიდან მკვდარ ეკონომიკას ქარიშხალი მნიშვნელოვან ზიანს ვერ მოუტანს. თუმცა ჩვენს იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს ეს კრიზისი პრობლემებს შეუქმნის.

**— საქართველოს ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს, რომ მოსალოდნელ კრიზისს გაუმკლავდეს? აქვს დღეს ქართულ ეკონომიკას იმის რესურსი, რომ თუნდაც სურსათის მარაგი უზრუნველყოს?**

– რომ გითხრათ, საქართველო გნებავთ ხუთი წლის წინა, ან დღეს მზად არის რეგიონალური კრიზისისთვის და მომზადებული შეხვდება მას, მოგატყუებთ, რადგან ჩვენ ორი კვირის მარაგებიც კი არ გაგვაჩნია. კრიზისის შემთხვევაში რაიმე პრობლემა რომ შეგვიქმნას თურქეთმა პროდუქციის მოწოდებაზე, ჩათვალეთ, რომ ჰაერში ვართ გამოკიდებული, რადგან ჩრდილოეთის საზღვარი ჩაკეტილია. უკრაინის კრიზისის გაგრძელება გვტოვებს სრულიად დაუცველს. როდესაც ჩვენ კონცეფციაზე ვმუშაობდით, მაშინ სერიოზულად ვფიქრობდით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე, ვინაიდან ამ მხრივ საქართველოში სერიოზული პრობლემები გვაქვს. ახლა კონცეფცია არსებობს, თუმცა სამუშაოები მის შესრულებაზე ჯერჯერობით არ მიმდინარეობს. ჩვენ ვართ არხეინი ქვეყანა, რომელიც არანაირი კრიზისისთვის მზად არ არის. ეს 2008 წელმაც გვიჩვენა, თუმცა იმის შემდეგ არ მგონია, რაიმე შეცვლილიყოს.

**შორენა გოგოლაძე**
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინის ელჩმა საქართველოს ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა



საქართველოში უკრაინის ელჩმა, ვასილი ციბენკომ საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. ის მადლობას უხდის საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, საგარეო საქმეთა სამინისტროს იმისთვის, რომ მისი სამშობლოსთვის რთულ პერიოდში, მხარი დაუჭირეს უკრაინასა და უკრაინელ ხალხს.

„მათ არა მხოლოდ დაგმეს აგრესია და აღიარეს უკრაინის ახალი მთავრობა, არამედ გამოთქვეს მზადყოფნა, ითანამშრომლონ ჩემი ქვეყნის ახალ ხელისუფლებასთან“, – განაცხადა ელჩმა და ამისთვის საქართველოს ხელისუფლებას მადლობა კიდევ ერთხელ, ამჯერად ქართულ ენაზე გადაუხადა.

ციბენკოს განცხადებით, „უკრაინის ხელისუფლება კონფლიქტის, მშვიდობიანი, პოლიტიკურ-დიპლომატიური გადაჭრის გზით გამოდის. იმედი გვაქვს, რომ ერთობლივი ძალებით, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, შევძლებთ კონფლიქტის ესკალაციას და პროცესის მშვიდობიან ჩარჩოში გადატანას. იმ შემთხვევაში, თუ რუსული მხარის მიერ გამოყენებული იქნება იარაღი, უკრაინა იძულებული გახდება, თავი დაცვას. ამისთვის უკრაინის შეიარაღებული ძალები სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი. თუმცა, ხაზს ვუსვამ, რომ ომი ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი გზა არ არის“, – განაცხადა ციბენკომ.

მისივე თქმით, საერთაშორისო პარტნიორებმა იციან, რომ უკრაინისთვის მშვიდობიანი დიალოგი და კონსტრუქციული მოლაპარაკებები არის ყველაზე მთავარი.

„იმედი გვაქვს, რუსეთი მოგვისმენს ჩვენ, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას და შესაბამის, ადეკვატურ გადაწყვეტილებებს მიიღებს“, – აღნიშნა ელჩმა.

მისი თქმით, რუსული მხარის განცხადება, რომ საკუთარი თანამემამულეები უნდა დაიცვან, ნაცნობი ხელწერაა. „ხელწერა ნაცნობია. მათ ის გამოიყენეს დნესტრისპირეთში, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში“, – განაცხადა ელჩმა.

მანვე აღნიშნა, რომ, როგორც რუსულენოვან მოსახლეობას ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე სხვა ეროვნების ხალხს, ხელი არ ეშლებათ, ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე და შეინარჩუნონ კულტურა და ტრადიციები. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტი თბილისში საქმიანობას მარტის ბოლოდან დაიწყებს




საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, თინა ხიდაშელის განცხადებით, პარლამენტი უმეტესწილად თბილისში საქმიანობას მარტის ბოლოდან დაიწყებს. მისივე განმარტებით, ქუთაისში მხოლოდ პარლამენტის პლენარული სხდომები გაიმართება.

„როგორც მე ვიცი, მარტის ბოლოდან დაგეგმილია პარლამენტის თბილისში საქმიანობა უმეტესწილად, გარდა სესიებისა. საუბარია ბიუროს სხდომებზე, საკომიტეტო მოსმენებსა და პარლამენტის წევრების თბილისში მუშაობაზე. ეს გადაწყვეტილია და ასე იქნება. რამდენი ხანიც გაჯიუტდება „ნაციონალური მოძრაობა“, იმდენი ხანი ვივლით ქუთაისში სესიებზე“, – აღნიშნა ხიდაშელმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საპატრიარქოს კლინიკაში მყოფმა მელოგინეებმა საჩუქრები მიიღეს



საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის სამშობიარო განყოფილებაში 15 მელოგინე იმყოფება, რომლებმაც კლინიკის გენერალური დირექტორის, ვახტანგ სურგულაძისგან ყვავილების თაიგულები და წმინდა იოაკიმესა და ანას ხატები მიიღეს. სურგულაძემ ახალშობილებსა და მათ დედებს ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატება და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება უსურვა.

„შეიძლება სწორედ ამ ახალშობილებსა და მათ მშობლებზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა. ვუსურვებ უფლის წყალობასა და ჯანმრთელობას. მინდა საქართველო წარმატებული და წარჩინებული იყოს თავისი მამულიშვილების კარგი საქმეებით“, – განაცხადა სურგულაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## უსუფაშვილი თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში მუშაობს



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობაში მუშაობს.

„მე ვარ პარლამენტში და ვმუშაობ, ვთქვი, რომ პარლამენტი თბილისში ეტაპობრივად გადმოვა. 2 მარტს მე გახლდით პარლამენტის შენობაში და ვმუშაობდი. ნელ-ნელა მეტი ხალხი იმუშავებს იმ შენობაში“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ბარაკ ობამა და დევიდ ქემერონი რუსეთს აფრთხილებენ




აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ქემერონი რუსეთს აფრთხილებენ, რომ, თუ ყირიმში რუსეთის ჯარები საკუთარ ბაზებს რამდენიმე საათში არ დაუბრუნდებიან, რუსეთს მნიშვნელოვანი დანაკარგები ემუქრება.

„ველაპარაკე ბარაკ ობამას. შევთანხმდით, რომ რუსეთის ქმედებები მიუღებელია და თუ ის კურსს არ შეიცვლის, მნიშვნელოვანი საფასურის გაღება მოუწევს“, – დაწერა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა „ტვიტერზე“. (ინტერპრესნიუსი)



# რატომ შემოიღეს დაწყებით კლასებში კომპიუტერული თამაშები?

3 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ახალი ელექტრონული სასწავლო რესურსების, კომპიუტერული თამაშების პრეზენტაცია გაიმართა. სწავლების დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო გარემო მოსწავლეს აძლევდეს ცოდნის დადებით ემოციურ გარემოში მიღების საშუალებას. თამაშით სწავლა პრიორიტეტულია აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისთვის შერჩეულ სწავლების მეთოდებს შორის. დიდაქტიკური თამაშები უყალიბებს მოსწავლეს დამოუკიდებლად სწავლის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებითად აზროვნების უნარ-ჩვევებს, პედაგოგს კი აძლევს თითოეული მოსწავლის სასწავლო საჭიროებებზე მორგების საშუალებას.

2013-2014 სასწავლო წლისთვის შექმნილი ახალი კომპიუტერული თამაშები ერთგვარი ვირტუალური ლაბორატორიებია, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლე ხდება მკვლევარი, სწავლობს და იმეცნებს ხალისით და აქტიურად. ამ სახალისო თამაშებში დაცულია სასწავლო მასალის თანმიმდევრულობა, შეესაბამება საგნობრივი პროგრამების თემატურ მასალას, არის დამხმარე დამატებითი საშუალება საგნების უკეთ ათვისებისთვის. თამაშების ყოველი ეტაპი დატვირთულია ახალი ინტერაქტიული ანიმაციებითა და თავსატეხებით, სახალისო დავალებებით. ყოველი მათგანის შესრულების შემდეგ მოსწავლეს ეძლევა „წამახალისებელი ჯილდო“ ანიმაციის ან თემატიკასთან დაკავშირებული ვიდეოს სახით. ახალი კომპიუტერული თამაშები განთავსდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-პორტალზე და უახლოეს მომავალში ჩაიტვირთება უმცროსკლასელთა პერსონალურ „ბუკებში“.

კი, ბატონო, მოსწავლეების „ბუკებში“ თამაშების ჩატვირთვა კარგია, მაგრამ რა სახის თამაშები ჩაიტვირთება ამ „ბუკებში“? რატომ გახდა აუცილებელი მსგავსი თამაშების სწავლება ბავშვებისთვის?

**„ალია“ დაუკავშირდა ეროვნული გეგმების დეპარტამენტის უფროსს ნათია ჯოხაძეს.**

– ეს არის სპეციალურად ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის და ჩვენს სასწავლო გეგმაზე დაყრდნობილი ქართველი პროგრამისტების შექმნილი საგანმანათლებლო თამაშები და ეს საგნებია არითმეტიკა, ქართული ენა, ბუნებისმეტყველება, ხელოვნება და მუსიკა. ანუ, ყველა ის საგანი, რასაც მეორე და მესამე კლასის ბავშვები სწავლობენ. პირველი კლასის პროგრამები კი უკვე გაკეთებულია და ყოველწლიურად იტვირთება „ბუკებში“. ლაპარაკია იმაზე, რომ 21-ე საუკუნეში მრავალფეროვანი უნდა იყოს ბავშვის სასწავლო რესურსი და საყოველთაოდ მეცნიერულად მიღებული და დადასტურებულია, რომ ამ ასაკის ბავშვებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ის კომპონენტი იყოს გათვალისწინებული, როცა ისინი ხალისით სწავლობენ. შესაბამისად, გარდა სახელმძღვანელოებისა, რომელიც მთავარი სასწავლო რესურსია სკოლაში, და დამხმარე ლიტერატურისა, ბავშვებისთვისა ასევე მნიშვნელოვანია კომპიუტერული საგანმანათლებლო თამაშები. ეს არ არის თამაში კლასიკური გაგებით, რასაც ჩვენ ვართ შეჩვეული, არამედ, ეს არის სპეციალურად საგანმანათლებლო თამაში ასაკისა და პროგრამის გათვალისწინებით, მით უმეტეს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენცია არის ძალზე მნიშვნელოვანი, როგორც ევროპულ კომპეტენციათა ჩარჩოში, ასევე ჩვენს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სადაც ის გამჭოლი პოზიციისაა.

**— ეს რომელიმე ქვეყნის მაგალითი გადავიღეთ?**

– არსაიდან არ აგვიღია, ზოგმა ქვეყანამ, პირიქით, ჩვენგან გადაიღო. ჩვენ ვართ სამყაროს ნაწილი და გვინდა, რომ ჩვენი სისტემა იყოს უფრო განვითარებული. ჩვენ გავაკეთეთ ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია განათლების სისტემაში და ეს პროგრამაში კომპიუტერული თამაშებით შევიტანეთ და ბევრმა სხვა ქვეყანამ ეს ჩვენგან გადაიღო. საინფორმაციო ტექნოლოგიები, როგორც მნიშვნელოვანი კომპეტენცია ბევრ ქვეყანაში საბავშვო ბაღების ასაკიდანადაც ხდება.

**— მაგრამ ეს, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვაკონტროლოთ ის დრო და ხარისხი, რასაც ბავშვი კომპიუტერთან ატარებს.**

– რა თქმა უნდა. ეს უნდა გააკონტროლოს სკოლაში მასწავლებელმა და სახლში მშობელმა, მაგრამ ეს ცოდნა და ინფორმაციული წიგნიერება ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო სისტემის.

**— საინტერესოა, ფსიქოლოგიური მომენტი თუა გათვალისწინებული ამ თამაშების დანერგვის დროს?**

– ასეთი საქმე საერთოდ, ფსიქოლოგის გარეშე არ ხდება და პედაგოგები და ფსიქოლოგები ერთად მუშაობენ და ვერ ვხვდები, ცუდი გავლენა რატომ უნდა მოახდინოს საგანმანათლებლო თამაშმა ბავშვზე. ეს პროგრამა ჩატვირთვის შემდეგ უკვე ხელმისაწვდომი გახდება ბავშვებისთვის, სამინისტროს ელექტრონულ ვებგვერდზე, საიდანაც ტვირთავენ იგივე ბავშვები სხვადასხვა საგანმანათლებლო თამაშებს და სხვა ელექტრონულ რესურს.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით უკვე ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს, მასთან ერთი კითხვა გვაქვს: კი, თამაშები ნამდვილად საგანმანათლებლოა და, როგორც აგვიხსნეს, კარგია, მაგრამ მსგავსი კომპიუტერული თამაშის ფორმა ხომ არ გამოიწვევს აზარტის გაღვიძებას მოსწავლეში? არ დაგვავიწყდეს, საქმე ბავშვებს ეხება.**

– თქვენი რეპლიკა და ინტერესი, ამ საქმეში რა ადგილი უკავია ფსიქოლოგს, სრულიად მართებულია. ვიცით, რომ თამაშების დროს დიდ რაოდენობას ნამდვილად შეუძლია ბავშვი გაიტაცოს და მსოფლიოში ნამდვილად დგას ეს საკითხი, ბავშვებისა და კომპიუტერის ურთიერთობა. თამაშის მომენტიც რომ არ იყოს, კომპიუტერი ბევრად მიმზიდველია, კომპიუტერით გატაცებას ეპიდემიასაც ეძახიან და როგორ მოევლოს ამ პრობლემას, ეს დღეს გადაწყვეტილი არაა. ამიტომ, ჩემი აზრით, გამართლებულია, ბავშვების ეს მისწრაფება სასარგებლოდ იყოს გამოყენებული და ამიტომ სასწავლო პროგრამებს ამაზე აფუძნებენ და კარგ ალტერნატივას სთავაზობენ.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პეტრიაშვილის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს



საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობას ქმედითი ზომების მიღებისკენ მოუწოდებს.

„უკრაინაში მოვლენები ზუსტად იმ სცენარით ვითარდება, როგორც ეს საქართველოში ექვსი წლის წინათ ხდებოდა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

მინისტრის აპარატი საერთაშორისო თანამეგობრობას, ევროკავშირს, ნატო-ს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს მოუწოდებს, მკაცრ განცხადებებთან ერთად მიიღონ ქმედითი ზომები ვითარების განმუხტვისა და მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

„უმოქმედობის შემთხვევაში მივიღებთ კონფლიქტის ახალ კერას, ახალ ოკუპაციას და წარმოუდგენლად დიდ მსხვერპლს. საფრთხე ექმნება არა მხოლოდ უკრაინას, არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონს, არამედ ზოგადად საერთაშორისო სტაბილურობასა და წესრიგს. ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის სივრცეში მშვიდობისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი უსწრაფესი და ეფექტური საშუალება საქართველოსთვის და მოლდოვასთვის ევროპული პერსპექტივის შეთავაზებაა; მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა კიდევ უფრო დააჩქაროს უკრაინასთან, მოლდოვასთან და საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და რატიფიცირება და საქართველოსთან სავიზო ლიბერალიზაციის მოლაპარაკებების დროულად დასრულება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ალასანია უკრაინელ კოლეგას ტელეფონით ესაუბრა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ იგორ ტენიუხს ტელეფონით ესაუბრა და იქ შექმნილი ვითარება განიხილეს.

„საქართველოს თავდაცვის მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ არსებული მდგომარეობის განმუხტვა მშვიდობიანი გზით მოხდება. მხარეებმა საქართველო- უკრაინის სტრატეგიულ თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს“, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

მათივე განმარტებით, ალასანია და ტენიუხი შეთანხმდნენ, რომ მუდმივ კავშირზე იქნებიან. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოს ელჩი მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს



უკრაინაში საქართველოს ელჩი მიხეილ უკლება ყირიმში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

„ქართველები არსებულ სიტუაციაში უკრაინელი მოქალაქეების გვერდით არიან და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ აქციებში, რა თქმა უნდა, მონაწილეობენ. მათ ამ ეტაპზე არანაირი პრობლემა არ აქვთ. სხვადასხვა ქალაქიდან გვირეკავენ და გვეკითხებიან, როგორ მოიქცნენ. სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ მათ, რადგან ყველაფერი შესაძლებელია. მოვუწოდებთ ჟურნალისტებსაც, რომლებიც ყირიმში მუშაობენ, ფრთხილად იყვნენ, გაუფრთხილდნენ თავის თავს და მოერიდონ ხალხმრავალ ადგილებს, რადგან შეიძლება პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი. ამ ეტაპზე ყველაზე საშიში ყირიმია, სადაც ინტერვენცია განხორციელდა, კიევში და სხვა ქალაქებში შედარებით სიწყნარეა – ტრანსპორტი მუშაობს და ხალხი გადაადგილდება, არანაირ პანიკას ადგილი არ აქვს, პირიქით, ძალიან მედგრად არიან უკრაინელები“, – განაცხადა უკლებამ.

მისივე შეფასებით, უკრაინის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან „მოხდა სერიოზული კონსოლიდაცია“.

„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ჩვენმა მინისტრმა წუხილი გამოთქვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო და დაგმო რუსეთის აგრესიის ფაქტი – თავისთავად, გვერდით ვუდგავართ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს და მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს საუბარი გაიმართა. გარდა ამისა, ბოლო 2 დღის განმავლობაში 8 საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ჩამოსული, მიმდინარეობს სატელეფონო საუბრები – ჩართულია საერთაშორისო თანამეგობრობა, მხარდაჭერა ძალიან დიდია, მოხდა სოლიდარობის სერიოზული კონსოლიდაცია. თავად ქვეყანაში, როგორც იცით, საბრძოლო მზადყოფნაა გამოცხადებული და მიდის მობილიზაცია. იყო პრორუსული გამოსვლები – ინსპირირებული და ეს ჩანდა, მაგალითად, ხარკოვში რუსეთის დროშა ასწია რუსეთის მოქალაქემ. ასევე, გაიმართა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი აქციებიც ბევრ ქალაქში. უკრაინის მხარდამჭერი აქციები გაიმართა ოდესაში, ნიკოლაევში, დნეპროპეტროვსკში და ა.შ“, – აღნიშნა ელჩმა. (ინტერპრესნიუსი)



სტრატეგიულად სწორად გააზრეს და დაინახეს ის, რაც უკრაინაში მოხდა. პრაქტიკულად უკრაინაში წყდება ევროპის ბედი და, სულ მცირე, უახლოესი ათწლეულების მომავალი. მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, რომ ევროპამ და ამერიკამ უკრაინაში განვითარებული პროცესებისაგან სწორი დასკვნები გააკეთეს და გაცილებით მკაფიოდ და ძლიერი სვლებით მოქმედებენ. როგორც ჩანს, გადაწყვეტილება მიღებულია და ამ ხაზს დასავლეთიცა და ამერიკაც უკრაინაში სულ უფრო თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად გაატარებენ.

რუსეთი წამგებიან და უფრო რეაქტიულ მდგომარეობაში იმყოფება. ჩემი აზრით,

**შეეცდება თუ არა კრემლი, ყირიმში გაიმეოროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სცენარი?**

– ჩემი აზრით, პუტინი ჩვეულ სტილში მოქმედებს. ის ძველი ჩეკისტია და დუმილს რომ არჩევს, ეს იმას ნიშნავს, რომ დუმილის უკან სწორედ პირადად ის ხელმძღვანელობს რუსეთის მხრიდან უკრაინაში წარმოებულ პოლიტიკას. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სცენარის განმეორების საფრთხე არსებობს, ეს რეალობაა.

**— ცნობილი გახდა, რომ ქართულ-რუსული დიალოგის ფორმატში 4-5 მარტისთვის პრაღაში დაგეგმილი კარასინ-აბაშიძის შეხვედრა 14 მარტისთვის გადაიდო. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ შეხვედრის გადადება შესაძლოა, უკრაინაში განვითარებულ პროცესებს უკავშირდეს.**

– დიდი ალბათობით ეს შეიძლება ასეც იყოს. დღეს მთელი რუსეთის სახელმწიფო მანქანა საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩათვლით ჩართულია უკრაინის პროცესებში და ბატონი აბაშიძის პარტნიორი მოლაპარაკებებში, ბატონი კარასინი, როგორც ჩანს, უფრო სასწრაფო საქმეებითაა დაკავებული. როგორც მოგეხსენებათ, მის საკურატორო საკითხებში შედის პოსტსაბჭოთა ქვეყნები და რა თქმა უნდა, უკრაინაც.

**— უკრაინაში განვითარებული დრამატული პროცესების ფონზე შედგა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი ამერიკაში. ვაშინგტონში სტუმრის სტატუსით მყოფი საქართველოს წარმომადგენლებისა და მაღალჩინოსანი მასპინძლების განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ვიზიტი უდავოდ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის უნდა იყოს, რეალურ პოლიტიკაში როგორ კონვერტირდება საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი ამერიკაში. თქვენი პროგნოზი როგორია?**

– განცხადებებიდან, რაც გაკეთდა ამერიკაში, პირველ რიგში ვგულისხმობ ამერიკის მაღალი რანგის ოფიციალურ წარმომადგენლებს, განსაკუთრებით შინაარსობრივი იყო სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის განცხადებები. ტექსტისა და ტონის გაძლიერების თვალსაზრისით, სერიოზული ცვლილება იგრძნობა. პირდაპირი ტექსტით და ამ სიტყვის პირდაპირი გამოყენებით დაგმობილია რუსეთის ოკუპაცია, მკაფიო მხარდაჭერაა გამოხატული საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი. მხარდაჭერა კონკრეტული მხარდაჭერის კონკრეტული შევსებითაც გამოირჩევა.

პირდაპირ ითქვა, აშშ გააკეთებს ყველაფერს, რომ დააჩქაროს საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, ხოლო მოახლოებულ ნატო-ს სამიტზე ამერიკა მაქსიმალურად შეეცდება, საქართველოს მიენიჭოს ნატო-ში წევრობის სამოქმედო გეგმა, ე.წ. მაპ-ი. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის ანალოგიური მცდელობა ბუქარესტის სამიტზე წარუმატებლად დასრულდა, გამოვრიცხავ იმას, რომ ვაშინგტონმა მეორედ დაუშვას სირცხვილის ჭამა. რადგან ამერიკის მხრიდან ამგვარი განცხადებები კეთდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნატო-ს ლონდონის სამიტისთვის ეს საკითხი სერიოზულად მზადდება. როგორც ჩანს, იმ ოპონენტებთანაც, რომლებმაც ბუქარესტში დაბლოკეს საქართველოსთვის მაპ-ის მიცემა, მიმდინარეობს შესაბამისი მუშაობა. სხვათა შორის, გერმანიაშიც შეიმჩნევა გაღიზიანება პუტინით, რაც მთლად ასე არ იყო ბუქარესტის სამიტის წინ. როგორც ჩანს, იმისთვის, რომ საქართველომ ნატო-ში გაწევრიანების გზაზე შემდეგი დიდი ნაბიჯი გადადგას, დასავლეთში დღეს გაცილებით სასიკეთო განწყობაა, ვიდრე ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. ვაშინგტონში საქართველომ ძალიან სასიკეთო სიახლეები მიიღო. ვაშინგტონში გაკეთებული განცხადებები დატვირთულია კონკრეტული შინაარსით, რაც

# საქართველოსთან დაკავშირებით აშშ სირცხვილს აღარ შეჭამს?

**ინტერვიუ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძესთან:**

– უკრაინაში ვითარება ძალიან დინამიკურად მიმდინარეობს. როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლური რევოლუცია გართულებებით განვითარდა, რომელთა უკან მოსკოვის ხელი იკითხება. გასაგებია, რომ სირთულე ბევრი იქნება, თუმცა მთავარი მაინც მოხდა, მხედველობაში მაქვს უკრაინულ საზოგადოებაში სიღრმისეული გარდატეხა, რაც ჩემი აზრით, მათ დასავლურ ვექტორს შეუქცევადს ხდის. თუ ეს მოსკოვში კარგად გააზრებული არ აქვთ და მათ დაიწყეს ისეთი დესტრუქციული ქმედებები, როგორსაც ადგილი აქვს ყირიმში, ეს რუსეთს ძალიან მძიმედ და დამღუპველად შემოუბრუნდება. ეს უკვე იქნება რუსეთის შეჯახება 45-მილიონიან ერთან, რომელიც სულ სხვა მასშტაბებს წარმოადგენს, ვიდრე საქართველო, მოლდოვა ანაც სხვა ქვეყნები. რუსეთისთვის პრობლემა ისაა, რომ უკრაინას აქვს სულ სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი. თუ მოსკოვი უკრაინასთან მიმართებაში წინდაუხედავად მოიქცა, ეს მძიმედ დააზარალებს. რა თქმა უნდა, დაზარალდება უკრაინაც, მაგრამ უკრაინასთან დაპირისპირებას რუსეთისთვის დამანგრეველი შედეგი ექნება.

რაც შეეხება დასავლეთს. ჩვენ დასავლეთის ქმედებებში უკვე ვხედავთ თვისობრივად აშკარა ცვლილებებს. თუ ადრე ეს იყო ფრთხილი ნაბიჯები, ძირითადად დასავლური ორიენტაციის ზომიერი მხარდაჭერა, დღეს, როგორც ჩანს, ევროპასა და აშშ-ში რუსეთი თავის მომდევნო ქმედებებსა და სტრატეგიას ახლა სახელდახელოდ ალაგებსა და აყალიბებს. ახლა კიევისთვის მთავარია, რომ გამარჯვება, რომელიც ხალხმა მოიპოვა, უნდა გამაგრდეს და რაც შეიძლება მალე. ამიტომ, უკრაინის დემოკრატიულმა ძალებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა განავითარონ წარმატება და შედეგები რაც შეიძლება მალე გაამყარონ, ვიდრე რუსეთში შედარებით ქაოსური რეაქცია უფრო გააზრებული და დალაგებული გეგმის ფორმას შეიძენს.

**— სიმფეროპოლში განვითარებულმა პროცესებმა, მხედველობაში მაქვს თითქოს თვითორგანიზებული სპეცრაზმის მიერ ადმინისტრაციული შენობების დაკავება, ყირიმის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებამ ავტონომიისთვის უფლებამოსილების გაზრდის თაობაზე, კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია...**

ოპტიმიზმის იმედს გვაძლევს.

თუმცა, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, ამ ვიზიტის შედეგები არანაირად არ გამომდინარეობდა ქართული მხარის ნაყოფიერი მუშაობისგან. ვითარებამ მოიტანა და რადიკალურად შეიცვალა დასავლეთის პოზიცია პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ. ამას პროვოცირება გაუკეთა უკრაინის მოვლენებმა და მასში რუსეთის ნეგატიურმა ჩარევამ და როლმა.

როგორც ჩანს, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ დასავლეთმა რუსეთს უკრაინის მოვლენებზე სერიოზული პასუხი გასცეს. ასეთ ვითარებაში, მიღებულია გადაწყვეტილება, სერიოზულად დაუჭირონ მხარი საქართველოს და შესაძლოა, სხვა ქვეყნებსაც, მაგრამ ერთი რამ

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როდესაც ტანკებია დაქოქილი, იქ განცხადებებით ფონს ვერ გავალთო...



პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება:

„მინდა ყველას ვთხოვო გაითვალისწინოთ იმ საკითხის სირთულე, რაც უკრაინაშია შექმნილი. საქართველოს ხელისუფლებამ, მისმა ყველა შტომ, პრეზიდენტმა, პრემიერმა, პარლამენტის თავმჯდომარემ სრულიად ცალსახა პოზიცია გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რაც უკრაინაში ხდება. ეს არის რუსეთის შეიარაღებული აგრესია მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეს არის უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმებისა და პრინციპების უხეში დარღვევა, ეს არის თანამედროვე ცივილიზაციის მთავარი მონაპოვარის დარღვევა. ამ საკითხებში არანაირი დამატებითი კითხვა არ არსებობს“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, მისი მოგვარება უნდა მოხდეს ძალიან კონკრეტული ქმედებებით და არა განცხადებებით.

„როდესაც ტანკებია დაქოქილი, იქ განცხადებებით ფონს ვერ გავალთ, ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ყოველდღიურ და ყოველწუთიერ რეჟიმში ახორციელებს ქმედებებს იმ ჩარჩოებში, რაც გამოხატულია პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან, ეს არის უკრაინის ხელისუფლებასთან ურთიერთობის, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან ურთიერთობის კუთხით. უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად ჩვენ ვახორციელებთ ყველა შესაძლო ქმედებას და ასევე, უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, რადგან ეს არ ხდება ძალიან შორს და არ ხდება ისეთი სახელმწიფოს მიერ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენთან“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## არასამთავრობო ორგანიზაციას კომისიაში ჩართვა სურს

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობის მონიტორინგზე მომუშავე დროებით კომისიაში ჩართვისთვის მზადყოფნის შესახებ აუდიტის სამსახურს მიმართა.

„იმედს გამოვთქვამთ, რომ შექმნილი კომისია იქნება ქმედუნარიანი და ხელს შეუწყობს პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობას, რაც თანაბარი კონკურენტული პირობების შექმნის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. ჩვენი ორგანიზაცია 2010 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებს და აქტიურად არის ჩართული არჩევნებზე დაკვირვების პროცესში. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ორგანიზაცია ახორციელებდა არჩევნების მიმდინარეობის პროცესზე მონიტორინგს უშუალოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში... ვფიქრობთ, ჩვენი გამოცდილება და კომპეტენცია შეესაბამება იმ მოთხოვნილებებს, რომელიც მოეთხოვება კომისიის წევრ ორგანიზაციებს. ამასთანავე, ამ პროცესში ჩართვა მოგვცემს საშუალებას, მიღებული გამოცდილება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით მივაწოდოთ დაინტერესებულ საზოგადოებას. კომისიაში ჩართვის მოთხოვნით უკვე გაგზავნილია მიმართვა და ორგანიზაციის სახელით წარდგენილია ჩვენი იურისტი, ბექა გამდლიშვილი. იმედს ვიტოვებთ, რომ აუდიტის სამსახური არ მოახდენს ჩვენი მიმართვის იგნორირებას და მოგვცემს საშუალებას, გახვდეთ ამ მნიშვნელოვანი პროცესის მონაწილე“, – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## მარგველაშვილმა დედებს დედის დღე მიულოცა



როგორც მარგველაშვილის მისალოც განცხადებაშია აღნიშნული, პრეზიდენტი პატივისცემისა და ნუგეშის სიტყვებით მიმართავს იმ დედებს, რომლებმაც ყველაზე მძიმე დანაკლისი განიცადეს.

„დედის დღეს ვულოცავ ყველა დედას ჩვენს ქვეყანაში – მათ, ვინც ყველაზე მეტს ზრუნავს მომავალი თაობების აღზრდაზე და ამდენად, საქართველოს ღირსეულ მომავალზე. დღევანდელ დღეს პატივისცემისა და ნუგეშის სიტყვებით მივმართავ იმ დედებს, რომლებმაც განიცადეს ყველაზე მძიმე დანაკლისი, რაც კი შესაძლებელია ადამიანმა გადაიტანოს – ვინც სხვადასხვა გარემოებებში დაკარგეს შვილები. მოწიწებით ვიხრი ქედს საქართველოს ერთიანობისა და ნათელი მომავლისთვის შეწირულ გმირთა დედების წინაშე. ყველა დედას ვუსურვებ უმთავრესს მათ ცხოვრებაში – შვილების ჯანმრთელობას, წარმატებასა და კეთილდღეობას“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ინტერპრესნიუსი)



# საქართველოსთან დაკავშირებით აშშ სირცხვილს აღარ შეჭამს?

*მეცხრე გვერდიდან*

უნდა ვიცოდეთ – რუსეთის პასუხი ამ ყველაფერზე, პირველ რიგში, სავარაუდოდ, იქნება ისევ დარტყმა საქართველოზე, რადგან ისინი ევროკავშირსა და ამერიკას ვერ დაუპირისპირდებიან. ამ თვალსაზრისით, ჩვენ გარშემო ვითარება, რა თქმა უნდა, იძაბება და მაქსიმალურად უნდა ვიყოთ მზად, რომ ღირსეულად დავხვდეთ ამ გამოწვევას.

**— ვიზიტამდე იყო ქართულ ეკონომიკაში ამერიკული ინვესტიციების მოლოდინი. ჯერ ამაზე პრაქტიკულად არც არაფერი თქმულა, მაგრამ ამ თემაზე თუ პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებასაც გავითვალისწინებთ, ამგვარი მოლოდინი მართლაც არსებობს. თქვენი აზრით, რამდენად დიდია შანსი, რომ ამერიკული კაპიტალი ქართული ეკონომიკით რეალურად დაინტერესდება?**

– თუ ეს მოხდა, რაც ძალიან სასურველია, მოხდეს, შედეგი იქნება ამ თემაზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების. თუ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულია, ის უნდა მოხდეს აშშ-ის მხრიდან სახელმწიფო ხაზით მასშტაბური ფინანსური დახმარებით ან სახელმწიფომ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომ წაახალისოს ამერიკული ბიზნესი საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის. თუ ვინმეს ესმის, პირველ რიგში, ამერიკას, რომ ყველაზე ეფექტური დახმარება ეკონომიკური და ფინანსური დახმარებაა. თუ საქართველოს მხარდაჭერის ეს მიმართულება სერიოზულად გაღრმავდა, არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ამან გარკვეული სერიოზული გამოხატვა ჰპოვოს უკვე ფინანსური და ეკონომიკური სახით. იმედი უნდა ვიქონიოთ, თუმცა აქ ამ ეტაპზე კონკრეტიკაზე საუბარი ძნელია... (კობა ბენდელიანი. „ინტერპრესნიუსი“)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჭიკაიძემ ომში დაღუპული თანამშრომლების დედებს დედის დღე მიულოცა



შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ დედის დღე 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული სამინისტროს თანამშრომლების დედებს მიულოცა. მინისტრი გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში, აგვისტოს ომში დაღუპული ზურაბ ტატულაშვილის დედას – მარინე ტატულაშვილს ეწვია და დედის დღე პირადად მიულოცა. მინისტრმა მარინე ტატულაშვილს ყვავილების თაიგული და ტექნიკის 1000-ლარიანი ვაუჩერი გადასცა. ზურაბ ტატულაშვილი ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანია. ის შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოში მსახურობდა.

„აგვისტოს ომის დროს ზურაბი წინა ხაზზე, ყუმბარმტყორცნით იბრძოდა. ის 8 აგვისტოს ცხინვალში, სკოლასთან, სნაიპერის ტყვიით დაიღუპა. ზურაბს ერთ-ერთი დაჭრილის გამოყვანის დროს სნაიპერმა ზურგიდან ესროლა. ის ადგილზე დაიღუპა, დაჭრილი თანამებრძოლი კი გადაარჩინა“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ჭიკაიძის სახელით, სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელებმა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, აგვისტოს ომში დაღუპული შს სამინისტროს თანამშრომლების: ნადიმ ართმელაძის, ლაშა თევზაძის, ზვიად ჩიჩუას, დათუნა ავალიანის, გიორგი მარსაგიშვილის, ზურა ბიბილურის, ირაკლი აბრამიშვილის, გიორგი ძირტკბილაშვილის, ბესიკ კაპანაძის, გივი სახელაშვილის, იაგო მიქელაძის, მამუკა შუბითიძის, ზვიად ბარბაქაძის, თემურ ფიჩხაიას, გიორგი ღვინჯილიას და ზვიად დათუაშვილის დედებს დედის დღე მიულოცეს, ტექნიკის 1000-ლარიანი ვაუჩერები გადასცეს და გმირი შვილების გაზრდისთვის მადლობა გადაუხადეს. (ინტერპრესნიუსი)

## „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარება ვლადიმერ პუტინს შეუძლია“



აშშ-ის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი სერგეი მარკედონოვი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების წინ წაწევა მხოლოდ ვლადიმერ პუტინს შეუძლია და ამ თვალსაზრისით, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან მისი შეხვედრა პოზიტიური ნაბიჯი იქნება.

„მხოლოდ ვლადიმერ პუტინს შეუძლია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პროცესი წინ წასწიოს. ცუდია თუ კარგი, ეს არის რეალობა. დღეის მდგომარეობით შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნაწილი ურთიერთობების ნორმალიზაციისა, რომელიც ეხება რიტორიკას, ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ურთიერთობებს, თითქმის ამოწურულია. ახლა საჭიროა ახალი იდეები, პუტინმა შესთავაზა ორი ასეთი იდეა, პირველი დეკემბერში და ეს ეხებოდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას, ხოლო მეორე – ოლიმპიადის მსვლელობისას თებერვალში მარგველაშვილთან შეხვედრებს. ჩემი აზრით, ამ შეხვედრისგან დიდ გარღვევას არ უნდა ველოდოთ, მაგრამ თვითონ ფაქტი შეხვედრის, ფსიქოლოგიური თუ ემოციური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება“. – განაცხადა მარკედონოვმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეხვედრა არანაირ შედეგს არ გამოიღებს და მხარეები მხოლოდ თავიანთი პრობლემებით შემოიფარგლებიან, ფაქტი მაინც პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. (ინტერპრესნიუსი)

## „იმედის“ გადამღებ ჯგუფს ვიდეოკამერა დაუმტვრიეს




სიმფეროპოლში ტელეკომპანია „იმედის“ გადამღებ ჯგუფს ვიდეოკამერა დაუმტვრიეს, ოპერატორს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ჟურნალისტ გურამ როგავას განცხადებით, სიმფეროპოლში, გენერალურ საკონსულოსთან არსებულ სიტუაციას იღებდნენ, როდესაც მოქალაქეების ნაწილმა მათ შეურაცხყოფა მიაყენეს.

„რუსეთის გენერალური საკონსულო სიმფეროპოლში იწყებს რუსული პასპორტების დაჩქარებული წესით გაცემას და იწყება მოქალაქეების რეგისტრაცია. უამრავი ადამიანია შენობასთან, რიგები დგას და ამ პროცესის გადასაღებად მივედით. ვიღებდით კადრებს, როდესაც მოვიდა პოლიცია და გვითხრეს, რომ აკრძალული იყო გადაღება. მე ვუთხარი, რომ შენობიდან რამდენიმე მეტრში მქონდა გადაღების უფლება. მან მითხრა, რომ კი, იმუშავეთ მაგრამ უნდა გამოგყვეთ. ორი პოლიციელი დაგვყვებოდა. როდესაც მოქალაქეები დაინტერესდნენ, ვინ ვიყავით და გაიგეს, რომ საქართველოდან ვიყავით, გვეუბნებოდნენ, „აქ რა გესაქმებათ, თქვენს ქვეყანას მიხედეთ“. მათი მხრიდან აგრესიული ფრაზები ისმოდა. მოგვიანებით ერთ-ერთი აგრესიული მოქალაქე მოვიდა, კამერას ხელი დაარტყა და ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ძალიან რთული ვითარება შეიქმნა. მოქალაქემ პირდაპირ გამოიწია ჩვენზე. ამბობდა, რომ სააკაშვილის აგენტები ვიყავით და ყირიმიდან უნდა წავსულიყავით“, – ამბობს როგავა.

მისივე თქმით, მოქალაქეები აგრესიულად არიან განწყობილი როგორც ქართველი, ასევე ზოგადად უცხოელი ჟურნალისტების მიმართ და ნორმალური მუშაობის საშუალება მხოლოდ რუს ჟურნალისტებს აქვთ.

„როგორც კი ეუბნები, საქართველოდან ხარ, უმეტესობა გვეუბნება, რომ კომენტარს არ მოგვცემს. გვეკითხებიან, აქ რატომ ხართ, სააკაშვილის დაკვეთით, პროვოკაციებისთვის გამოგგზავნეს? ზოგადად, უცხოელი ჟურნალისტების მიმართ აქვთ აგრესია. ბევრ უცხოელ ჟურნალისტს შეექმნა პრობლემები. მხოლოდ რუს ჟურნალისტებს აძლევენ მუშაობის საშუალებას“, – აღნიშნა ჟურნალისტმა. (ინტერპრესნიუსი)

## კუბლაშვილი გარანტიების გაძლიერებას ითხოვს



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების გაძლიერებას ითხოვს.

კუბლაშვილი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას აპირებს. „უფრო მეტიც, ვფიქრობ, შესაძლებელია, დაისვას საკითხი, რომ სიახლეები, რაც კანონების დონეზე ამოქმედდა, კონსტიტუციაში იყოს გადატანილი. კონსტიტუციით მოსამართლეთა გარანტიები უფრო ხელშეუვალი იქნება. ეს ხელს შეუწყობს მოსამართლეთა დაცვას და მათ დამოუკიდებლობას“, – განაცხადა კუბლაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

**უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე სიტუაცია რუსეთშიც იცვლება. რა ხდება კონკრეტულად რუსეთის დედაქალაქში, ამაზე „ალიას“ მოსკოვში მცხოვრები, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ესაუბრება.**

– 2 მარტს სავალუტო ჯიხურების მფლობელებმა ატეხეს პანიკა და 2 რუბლით გაძვირდა დოლარი. 3 მარტს ისევ ჩამოიწია. მოსახლეობის განწყობა პუტინისკენ იხრება, ოპოზიციური ჯგუფები პუტინის წინააღმდეგ არ გამოდიან. ბოლო ერთი თვის განმავლობაში პროდუქტები გაძვირდა, სადღაც 10 პროცენტით. ახლა დოლარის კურსმა ისევ შესამჩნევად აიწია. ყველაზე დიდი პანიკა მაინც 2 მარტს დაფიქსირდა, კვირა დღე იყო, სავალუტო ბირჟა არ მუშაობდა და ამანაც შეუწყო ხელი. ამ დროს სპეკულანტები ფულს შოულობენ ხოლმე. რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, პუტინმა ასეთი მოქმედებით გარკვეულწილად გაამაგრა თავისი რეიტინგი. ვინც მისი მომხრე იყო, უფრო მეტად მომხრე გახდა, ვინც ნეიტრალური იყო, ისიც მომხრე გახდა.

**— ბარაკ ობამას მუქარას რუსები სერიოზულად აღიქვამენ? მოსახლეობაში რაღაც შიში ხომ არ გაჩნდა?**

– შიში გაჩნდა, აქ ფიქრობენ, რომ შეიძლება ყველაფერი დიდ ომში გადაიზარდოს. სამაგიეროდ, ხელისუფლებაში არ შეინიშნება შიში, წინააღმდეგ შემთხვევაში, პუტინს არ მისცემდნენ უკრაინაში ჯარის შეყვანის უფლებას. ყირიმში რუსეთის ჯარები იდგა, ამ ნაწილებს დაამატეს რამდენიმე დანაყოფი. ამას ამერიკელებიც აკვირდებიან არა მხოლოდ კოსმოსიდან, არამედ სხვა საშუალებებითაც. მოდი, ვთქვათ სიმართლე, რაღაც-რაღაცების პროვოცირება გამოიწვია უკრაინის დღევანდელმა ხელისუფლებამ... პირველივე დღეს რომ რუსულ ენას სტატუსს გაუუქმებ და ბირთვული იარაღის წარმოებაზე დაიწყებ ლაპარაკს, შენ ნორმალური ხარ? როცა ეს ხალხი ამას ამბობს, უკვე საშიშია... დაურეკეს ამერიკელებმა და გააჩერეს, რამდენჯერ გააჩერებენ?

**— იულია ტიმოშენკო აპირებს მოსკოვში ჩასვლას, ამაზე რუსებს რა რეაქცია აქვთ?**

– კი, არის მაგაზე საუბარი... მაგათ სხვა გზა აღარ აქვთ, ყველა შემთხვევაში პუტინს უნდა დაელაპარაკონ, მაგრამ ტიმოშენკო რა სტატუსით უნდა ჩამოვიდეს და შეხვდეს პუტინს?

**— რა, არ იცოდნენ, რომ ბოლოს მაინც პუტინთან მივიდოდნენ?**

– გელა, ამდენი რომ არ იციან, ამიტომაც არიან ამ დღეში. ვანო მერაბიშვილი პოლიტიკოსი იყო, მე რომ მითხრა 2003 წლის დეკემბერში, ცხინვალსა და სოხუმში თუ შევიჭრებით, რუსეთი ვერაფერს გვიზამსო? მე ვუთხარი, თბილისს დაბომბავენ-მეთქი, მაგრამ მაინც მოსინჯეს ძალები 2008 წელს ცხინვალში. კიდევ კარგი, ახლა საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლება არ არის, თორემ დარწმუნებული ვარ, უკვე ჩვენი ჯარები იქნებოდა ცხინვალთან და სოხუმთან. ჩვენი უბედურება ის არის, რომ რუსეთს აქამდე ვერც ერთი ხელისუფლება ვერ სცნობდა, შევარდნაძემ მშვენივრად იცოდა ის რუსეთი, რომელშიც თვითონ იყო, უბრალოდ, ჩარჩა საბჭოთა კავშირში, ბოლომდე დარჩა საგარეო საქმეთა მინისტრად და იქიდან უყურებდა პროცესებს. მერე მოვიდა სააკაშვილი, ნიუ-იორკში, ბრიუსელსა და ვაშინგტონში ნაბაქიბუქები ბიჭი, რომელმაც იფიქრა, რუსებს ჟანგიანი ტანკების მეტი არაფერი გააჩნიათ, მაგათ დედას ვუტირებთ, დავამარცხებთო. ამათ არ იციან, რომ რუსეთს შეუძლია დახევა ციმბირამდე, 3 მარტს თოვლი მოვიდა ვაშინგტონში და საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, აქ 6 თვე თოვლი და ყინვაა. ამ ქვეყანას ვერ აიღებ...

**ახლა ამერიკა ევროპას ატყუებს, მათი ლაპარაკიდან ისედაც ჩანს, რომ საქმე ომამდე არ მივა და ახლა დაიწყეს ლაპარაკი ეკონომიკურ სანქციებზე, შენგენის ვიზების გაუქმებაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჯერ კიდევ ზამთარია და გაზის ონკანი მოსკოვშია. შენ თუ რაღაცას დამიკეტავ, მეც რაღაცას დაგიკეტავ. დღეს პუტინის ხელისუფლება და მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთია. დავუშვათ, მომხდარიყო ისე, რომ პუტინს ხმა არ ამოეღო და საერთოდ მიეტოვებინა ეს პროცესები, რა მოხდებოდა?**



დავუშვათ, პუტინის ხელისუფლება წავიდა, შენ გგონია, აქ მშვიდობა დაისადგურებს და არჩევნები ჩატარდება? არა, ეს იქნება, ჩვენს მტერს! რუსეთში რომ „ჩვენს მტერს“ იქნება, კავკასიაში რა მოხდება? ნუგზარ წიკლაურს რომ ჩერქეზეთში ახლობლები ჰყავს, ეს იმას არ ნიშნავს, ჩერქეზები პრეტენზიებს არ წამოაყენებენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი არ განახლდება, ან ჩვენს აზერბაიჯანულ რეგიონებში ცეცხლი არ გაჩნდება. რაც მთავარია, გაჩნდება რამდენიმე სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელსაც ატომური ბომბი ექნება. შენ გგონია, ობამა და ქერი გენიოსები არიან? ეგენიც ადამიანები არიან და ხშირად ემოციები სჭარბობს. ადრე ქართველები ხმლით იბრძოდნენ, ახლა „ფეისბუკის“ ლომები გახდნენ, ხმლების ნაცვლად კლავიატურებს იქნევენ... ერთი მიშისტი წერს: აბა, დამისახელეთ ერთი ქვეყანა, სადაც ამერიკელები შევიდნენ და იქაურობა არ აყვავდაო. ამიხსნას ვინმემ, ავღანეთში რატომ არიან ამერიკელები? შედეგი რა არის? დაღუპული ჯარისკაცები, დაღუპული ქართველები, ავანტიურაში ჩათრეული ევროპა და ასე შემდეგ. ამერიკელების შესვლის შემდეგ ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება გაიზარდა. დღეს რუსეთი საკითხს აყენებს ასე: რატომ არ იცავს იმ შეთანხმებას ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფო, რაც შედგა? ისინი უნდა ჩამდგარიყვნენ იანუკოვიჩსა და ოპოზიციას შორის. რაკი რამდენიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასეთ შეთანხმებას ხელი მოაწერეს, ახლა ხმას რატომ არ იღებენ? ეს შეთანხმება იანუკოვიჩს არ დაურღვევია, ოპოზიციამ ძალა იგრძნო და მიაწვა ბოლომდე. ახლა საქმე უკვე წავიდა მორევაზე და ნერვების მოსინჯვაზე. ჩემი აზრით, ამ ჭიდაობაში ყველაზე მეტს წააგებს უკრაინა, ასევე წააგებს ევროპა, რუსეთი და ყველაზე ნაკლებს წააგებს ამერიკა.

**— აქედან ჩვენ რამე ხეირს ვნახავთ?**

– კი... ნუგზარ წიკლაურისა და სვიმონ მასხარაშვილის დავთრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთი დაშლას დაიწყებს, სოჭს დავიბრუნებთ, ცოტა იქითაც წავიწევთ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები მოვლენ ჩვენთან, შევქმნით კავკასიის დიდ სახლს, დედაქალაქი იქნება თბილისი და ვიცხოვრებთ ერთიან, ძმურ კავშირში.

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რუსეთში პროდუქტების დეფიციტია?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობის“ წევრებს „ოცნებიდან“ მიგზავნილი ადამიანები დაუპირისპირდნენ?



გარდაბანში, „ნაციონალური მოძრაობის“ კონფერენციის დაწყებამდე ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. პარტიის წევრის, ირმა ნადირაშვილის განცხადებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს „ქართული ოცნებიდან“ მიგზავნილი 3-4 ნასვამი პირი დაუპირისპირდა. მისივე თქმით, ადგილზე არ იმყოფებოდა პოლიცია და იძულებული გახდა, პოლიციაში თავად მისულიყო, ადგილზე სამართალდამცველების მისვლისა და სიტუაციის განმუხტვის მოთხოვნით. როგორც ნადირაშვილი აცხადებს, ორი პირი, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა, პოლიციამ დარბაზიდან გაიყვანა, თუმცა მისთვის უცნობია, დააკავეს თუ არა ისინი.

„ძალიან სამწუხაროა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, „ქართული ოცნება“ მსგავსი მეთოდებითა და ადამიანების მოგზავნით გვებრძვის“, – აღნიშნა ნადირაშვილმა.

მისივე თქმით, ინციდენტი ამოწურულია. დარბაზთან იმყოფებოდა პატრულის ეკიპაჟიც. (ინტერპრესნიუსი)

## აშშ-ს საელჩოსთან აქცია გაიმართა



რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართა და საერთაშორისო თანამეგობრობას უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა.

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ რუსეთმა ვერ შეძლოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოზე ძალისმიერი ქმედების განხორციელება. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აქციაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისადმი სპეციალური ერთობლივი მიმართვა გაავრცელეს.

„ჩვენ მოვითხოვთ უკრაინაში, კერძოდ კი ყირიმში განვითარებული მოვლენების ფონზე, მთელი ცივილიზებული სამყაროს ერთობლივ ყურადღებასა და სწრაფ რეაგირებას. რუსეთის ფედერაციის მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე პასპორტების დარიგება, სამხედრო ინფრასტრუქტურისა და კონტინგენტის გაძლიერება, ასევე გადაწყვეტილება, შეირაღებული ძალებით დაიცვან უკრაინაში მაცხოვრებელ „თანამემამულეთა ინტერესები“, წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას. ეს ნაბიჯები ეწინააღმდეგება გაერო-სა და ეუთო-ს ფუძემდებლურ დოკუმენტებს, უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის საბაზისო პრინციპებს და საფრთხეს უქმნის უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. ისევე როგორც 2008 წელს რუსეთმა მოახერხა, ძალისმიერი ქმედებით დაერღვია საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, მსგავსი სცენარით დღეს ის ხელყოფს უკრაინის ტერიტორიულ დამოუკიდებლობას. მოვუწოდებთ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას, არ დაუშვას ახალი კონფლიქტი ევროპაში, „შეშფოთებიდან“ გადავიდნენ კონკრეტულ მყარ, ქმედით და ხისტ ნაბიჯებზე, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები, რათა მოხდეს შესაძლო აგრესიის თავიდან აცილება და შენარჩუნებულ იქნას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა“, – ნათქვამია რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ მისიებს გადაუგზავნიან. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## მსოფლიოში ყველაზე საშიში ვულკანი აფრიკაში მდებარეობს



ვულკანი, სახელწოდებით ნირაგონგო მსოფლიოში ყველაზე საშიშად მიიჩნევა და მას მინიმუმ მილიონიანი ქალაქის გადაბუგვა-განადგურება შეუძლია. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ცეცხლის ალით მსუნთქავი ეს მონსტრი, რომელიც აფრიკის დასავლეთით, კერძოდ კი კონგოს რესპუბლიკაში მდებარეობას, მსოფლიოს უდიდეს საფრთხეს უქადის და როდის მოხდება ტრაგედია, მხოლოდ დროის ამბავია.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ვულკანის ლავით სავსე მსოფლიოში ყველაზე დიდი ტბა დღემდე ძალიან ცუდად არის შესწავლილი სპეციალისტების მიერ, რისი მიზეზიც სამოქალაქო ომია, რომელიც ამ რეგიონში ვერაფრით დასრულდა.

ვულკანის სიახლოვეს ქალაქი გომა მდებარეობს, რომელშიც მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. მეცნიერების თქმით, მაშველები ყოველ წამს უნდა ელოდნენ, რომ მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყონ, რადგან ნირაგონგოს ლავას ძალიან ადვილად შეუძლია, კაცობრიობას თავს მეორე პომპეი დაატეხოს.

*tainamira.ru*

## ყავა ფასტ-ფუდის ნეგატიურ ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს



ძალიან ბევრი დაწერილა და ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება, რომ ფასტ-ფუდი ადამიანის ჯანმრთელობას ანადგურებს და ბოლოს უღებს. სიახლე კი ამ მიმართულებით ის გახლავთ, რომ როგორც კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, სწრაფი კვების ობიექტების ნაწარმისთვის ყავის დაყოლება ნეგატიურ ეფექტს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს და აღრმავებს.



გელფის უნივერსიტეტის სპეციალისტების განმარტებით, ფასტ-ფუდის მიღების შემდეგ, ადამიანის სისხლში შაქრის დონე მკვეთრად მატულობს, ხოლო როცა მას ყავასაც აყოლებენ, შაქარი რამდენჯერმე, დაახლოებით ისე მატულობს, როგორც ეს დიაბეტის მქონე პაციენტებში ხდება ხოლმე.

ჩვეულებრივ, როცა ადამიანი შაქარს იღებს, ინსულინი გამომუშავდება, რომელიც მას სისხლიდან დევნის და კუნთებში გადააქვს. კანადელების კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ სწრაფი კვების ობიექტების ცხიმებით სავსე საკვების მიღება ორგანიზმის ამ უნარს ანადგურებს, ანუ შაქრის გადამუშავება ისეთი წარმატებით ველარ ხერხდება.

მოკლედ, თუკი ფასტ-ფუდს თავს ვერ ანებებთ, ან უბრალოდ, სხვა ალტერნატივა არ გაგაჩნიათ, იქნებ, როგორმე ყავის დალევისგან მაინც შეიკავოთ თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ.

*science.computlenta.ru*

## გამოგონილია ნანოწამალი, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს



ნამდვილად არ გვგონია უკვდავობა საინტერესო იყოს, მაგრამ ბევრს აქვს ასეთი მისწრაფება და გავატაროთ, ბატონო...

თურმე, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებს მსოფლიოში პირველი ნანოწამლები შეუქმნიათ, რომლის უმთავრესი მიზანი და მოვალეობა ადამიანისთვის სიცოცხლის 200 წლამდე გახანგრძლივებაა.

ამერიკელები განმარტავენ, რომ ასეთი შესანიშნავი შედეგის მიღება მათ მას შემდეგ შეძლეს, რაც ნანო სტრუქტურების დახმარებით აგრესიული თავისუფალი რადიკალები გაანადგურეს. გარდა ამისა, ნანოწამალი თურმე, დიდი ხნის წინ განადგურებული ნერვული უჯრედების აღდგენასაც ახერხებს. ეს ყველაფერი კი სიცოცხლის გახანგრძლივების უებარი წამალი ყოფილა.

ამ დროისთვის კონტინენტსგაღმელების გამოგონება მასშტაბურ ტესტირებას გადის და თუკი პროცესი წარმატებით დასრულდება, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი – იცოცხლეთ რამდენიც გინდათ, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ ნანოწამალს პოლიტიკოსებიც დალევენ და მერე ნახეთ თქვენ, როგორი მოუშორებელი ჭირით დაავადდება მთელი კაცობრიობა!..

*vipmolik.net*

## ასტროლოგიური სამსახური სპეციალურად... ცხოველებისთვის




თუკი შორენას ან ავთოს აინტერესებთ, რას უქადიან მათ ვარსკვლავები, ვითომ, ყურშასა და ნაცარას რა პეწი ურევიათ?!

ჰოდა, ეს „შეცდომა“ რომ გამოესწორებინათ, შოტლანდიაში, კერძოდ კი ქალაქ გლაზგოში ასტროლოგიური სამსახური გაიხსნა, რომელიც სპეციალურად შინაურ ცხოველებზე იმუშავებს. ძაღლებისთვის და კატებისთვის ჰოროსკოპს ადგილობრივი დიასახლისი ფიონა სელესტი მოამზადებს.

იდეის ავტორი განმარტავს, რომ ასტროლოგიით წლებია, გატაცებულია, თუმცა სპეციალურად ცხოველებისთვის მუშაობა სულ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა და ჩანაფიქრს ფრთებიც შეასხა.

სელესტი ამტკიცებს, რომ ადამიანების მსგავსად, ვარსკვლავები და თანავარსკვლავედები შინაურ ცხოველებზეც ახდენენ გავლენას. მაგალითად, შოტლანდიელ ვარსკვლავთმრიცხველს უკვე დაუდგენია, რომ ტყუპების ნიშნის ქვეშ დაბადებულ ცხოველებს ჭკუა ეკეტებათ მოგზაურობაზე და აქტიურ ცხოვრებაზე, ხოლო მორიელი ძაღლისგან შესანიშნავი დარაჯი დგება.

სტანდარტული ასტროლოგიური პროგნოზი ოთხფეხა მეგობრისთვის დამკვეთს დაახლოებით 23 ევრო დაუჯდება, თუმცა არის უფრო ძვირადღირებული მომსახურებაც, რომელსაც, ალბათ, მომხმარებელი გამოუჩნდება, რადგან მსგავს სისულელეებს მართლაც ბევრი ეტანება.

*etotupo.ru*

## ენერგოკრიზისს ხელოვნური ფოთოლი მოაგვარებს



ამერიკელმა მეცნიერებმა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან მცენარის ფოთლის იაფფასიანი და გამძლე ანალოგი გამოიგონეს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ყოველგვარი ენერგოკრიზისის დაძლევა.

ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ხელოვნური ფოთლის შემქმნელები და განმარტავენ, რომ სინათლის ზემოქმედების შედეგად ის წყალს ჟანგბადად და წყალბადად ამუშავებს, რაც შემდგომში ელექტროენერგიის მიღების შესაძლებლობას იძლევა.



ამერიკელი მეცნიერების მიერ შექმნილი ფოთოლი ბანქოზე ცოტათი სქელია და სპეციალურ მოწყობილობასთან ერთად მუშაობს, რომელიც კაჟისგან, ელექტრონიკისგან და ქიმიური კატალიზატორებისგან შედგება.

ხელოვნური ფოთლის 3,78 ლიტრ წყალში ჩადება საშუალებას იძლევა, ერთი საშუალო სიდიდის სახლის ნათურები დღის მანძილზე გაანათოს.

როგორც თავშიც აღვნიშნეთ, ფოთოლი წყალს ჟანგბადად და წყალბადად აქცევს, რომელიც სპეციალურ კამერებში გროვდება და ელექტროენერგიაც იქ გამომუშავდება, შემდეგ კი ჩვეულებრივ სადენებში ნაწილდება.

ლაბორატორიულ პირობებში ერთი ფოთოლი ეფექტურობის დაკარგვის გარეშე მთელი 45 საათი მუშაობდა.

პერსპექტივაში ამერიკელების ხელოვნური ფოთოლი ნებისმიერი სახლის ინდივიდუალური სადგური გახდება, რითიც ენერგოკრიზისის პრობლემა სამუდამოდ მოგვარდება.

როდის იქნება ხელმისაწვდომი ეს საოცარი ხელოვნური ფოთოლი ნებისმიერი ჩვენგანისთვის, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

*science.compulenta.ru*

## სარეცხი მანქანით უკვე ადამიანების „გარეცხვაც“ შეიძლება



იაპონურმა კომპანია „სანიომ“ მოაწყო სარეცხი მანქანის პრეზენტაცია, რომელიც სპეციალურად ადამიანის „გასარეცხადაა“ განსაზღვრული.

როგორც ირკვევა, პროექტი ჯერ კიდევ 40 წლის წინათ შემუშავდა და სულ ახლახან დასრულებულა.

იაპონელების ახალი გამოგონება გახლავთ ავტომატური მოწყობილობა, რომელიც ადამიანის დაბანას მისი ძალისხმევის გარეშე უზრუნველყოფს. ამისთვის კი საჭიროა, ადამიანი სარეცხი მანქანის სპეციალურ ადგილას ჩაძვრეს, შემდგომი პროცესი კი თავისით წარიმართება.

უჩვეულო სარეცხ მანქანაში ჩაძრომის შემდეგ ხდება ადამიანის ცხელი წყლით დამუშავება. შემდეგ კი საკმაოდ სასიამოვნო მასაჟი იწყება. პროცედურის დასასრულია ადამიანის გაქაფვა და ბუნებრივია, გამშრალება.

რა ღირს „სანიოს“ სარეცხი მანქანა, სამწუხაროდ, ეს უკვე აღარ ზუსტდება.

*aif.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge









1. დანიელ ჭონქაძე. „... ციხე“
2. მაინას საპირისპირო ბრძანება
3. კომპოზიტორი ... მორიკონე
4. თევზის ჯიში
5. ტყის სული წვეტიანი ყურებით
6. სიმინდის ფქვილის კვერი
7. მკვლელობის მანია
8. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
9. რეჟისორი ... მიხალკოვი
11. რაიმეს განზრახ დაზია-ნება
12. უფროსი, მეფე
13. თვითმფრინავის კიბე
14. ჭაღარა თმა
15. პატარა ჭურჭელი სუნამოსათვის
16. მსახიობი ანჯელინა ...
17. თინეიჯერი, ანუ ...
18. ქართ. ფილმი „უკანასკნელი ...“
19. ხუმარების თვე
20. ცირკის მასხარა
21. კრივის მოედანი
22. გამარტივებული ინგლისური
23. 3,14
24. ბრონტე. „ჯეინ ...“
25. აღგზნებული მხიარული განწყობილება
26. ცხარე სანელებელი
27. მხატვარი ... ახვლედიანი
28. იტალიელი ფიზიკოსი
29. სპორტის სახეობა
30. თოთო ბავშვი
31. 1კგ წყლის მოცულობა
32. მოგებული პარტია ნარდში
33. ხილი
34. ზაფხულის თვე
35. ჰეიერდალის პაპირუსის გემი
36. მოუხარშავი, ანუ ...
37. „უქარქაშო ხმლები“ ავტორი
38. რას შლიან წვიმის დროს
39. წმინდა, სუფთა
40. იოგებით გამოცემული ბგერები
41. ცირკის ტანმოვარჯიშე
42. ჩილელი პოეტი პაბლო ...
43. „სწავლობს გიგლა ...“
44. მარილიანი სითხე კანზე
45. ექსპრეზიდენტი რიჩარდ ...
46. მწერალი ... დე მოპასანი
47. პატარა ტანის ძაღლი
48. მწერის მეტამორფოზის სტადია
49. ვულკანური მასა
50. „მატრიცა“ კერი-ენ მოსი
51. თავბრუსხვევა
52. მსახიობი ... კახიანი
53. მხატვარი ... გრეკო
54. კუზიანი ცხოველი
55. გივი ბერიკაშვილი ფილმში
56. „სოლარისი“. ავტორი
57. პოლიციელის მეტსახელი ძველ პარიზში
58. ნაჭრის მრგვალი ქუდი
59. გერმანიის დედაქალაქი
60. კურორტი ბაღდათის რაიონში
62. ტყის მასივი ციმბირში
63. შტატი აშშ-ში
64. საოპერო პარტია
65. იაპონური თეატრი
66. ... შიგნიდან გატყდებაო
67. ... კიხოტ ლამანჩელი
68. კომპოზიტორი ... ყანჩელი
69. პოეტი ... ალიგიერი
70. კომიკოსი ბენი ...
71. ქალაქი საფრანგეთში
72. ფოტოების ჩასადები წიგნი
73. საკანცელარიო ნივთი
74. მსახიობი მეგ ...
75. ქუჩის ლამპიონის საყრდენი
76. მამალი ცხვარი
77. გოგებაშვილი. „თხა და ...“
78. მთიდან არეკლილი ხმა
79. კუნძული ეგეოსის ზღვაში
80. ბოსტნეული
81. ბოსტნის მავნებელი
82. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
83. რას დებს ქათამი
84. სავაჭრო სახლი ძველ თბილისში
85. იტალიური ღვეზელი
86. დაბა ბაკურიანთან
87. ხუმარა ადამიანი
88. რუსი მხატვარი
89. სახელმწიფო შუა აზიაში
90. ჩოგბურთის მოედანი
91. „ბითლზი“ ... სტარი
92. მწვანილი
93. კუტიურიე ჯორჯო ...
94. ავსტრალიის დედაქალაქი
95. ჰაერის გაწმენდა, ანუ ...
96. ინგლისის პოლიცია: ...-იარდი
97. ჰოლანდიური ყვავილი
98. ყვავილი
99. მემარცხენე ადამიანი
100. პერუს დედაქალაქი
101. ზრდადაუსრულებელი ქათამი
102. ... ტოლსტოი
103. ეპოქა
104. მარილიანის გემო
105. ტალახი
106. ფეხსაცმლის ზონარი
107. მსახიობი ... უიზერსპუნი
108. ბარაქა
109. მსახიობი ... კოსტნერი
110. ფქვილით შეზელილი ბადაგი
111. ქმრის ძმა
112. შტატი აშშ-ში
113. ჯონ კენედის მკვლელი ... ჰარვი ოსვალდი
114. 100სმ
115. თავდასაცავი იარაღი ძველად
116. ახალი ტანსაცმელი ბავშვის ენაზე
117. ხელოვნური ენა
118. გასაღები
119. ბრემ ... „დრაკულა“
121. სვე
122. ლითონი
123. ზამბახი
124. ელასტიური ქსოვილი
125. გაზაფხულის თვე
126. „შავყურა თეთრი ...“
127. მეორეხარისხოვანი ქალღმერთი
128. მდინარე იტალიაში
129. ფუტკრების სახლი
130. რეჟისორი ლიუკ ...
131. შხამიანი გველი უდაბნოში
132. შვედური საესტრადო ანსამბლი
133. ნიშნავს სიცოცხლეს
134. ბერძნ. ანბანის პირველი ასო
135. ხმამაღალი ჟღერადობა მუსიკაში
136. რას აგროვებს ფილატელისტი
137. „...-ჭამა დიდად შესარგი“
138. ... ჯაგერი
139. გემის მზარეული
140. სატელეფონო სიტყვა
141. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
142. ატმოსფერული აირი
143. მევიოლინე ვანესა ...
144. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
145. ნაცია
146. მწერალი ... როდარი
147. ერთუჯრედიანი ორგანიზმი
148. თეატრი „... სკალა“
149. „... არაბეთის როსტევან“
150. აგენტი 007
151. მსჯელობა, ... ბაასი
152. ლუდის მასალა

პასუხები: 1. სურამის; 2. ვირა; 3. ენიო; 4. სვია; 5. ელფი; 6. მჭადი; 7. ამოკი; 8. ტაიმი; 9. ნიკიტა; 10. ჭიანჭველა; 11. საბოტაჟი; 12. ბოსი; 13. ტრაპი; 14. ჟღალი; 15. ფლაკონი; 16. ჯოლი; 17. ნინველი; 18. მასკარადი; 19. აპრილი; 20. კლოუნი; 21. რინგი; 22. პიჯინი; 23. პი; 24. ეარი; 25. ეიფორია; 26. პილპილი; 27. ელენე; 28. ტორიჩელი; 29. რაგბი; 30. ჩვილი; 31. ლიტრი; 32. ოინი; 33. ქლიავი; 34. აგვისტო; 35. „რა“; 36. უმი; 37. სანიკიძე; 38. ქოლგა; 39. ხალასი; 40. ხმა; 41. აკრობატი; 42. ნერუდა; 43. ტიტინა; 44. ოფლი; 45. ნიქსონი; 46. გი; 47. ფინია; 48. იმაგო; 49. მაგმა; 50. ტრინიტი; 51. რეტი; 52. ეკა; 53. ელ; 54. აქლემი; 55. „ლონდრე“; 56. ლემი; 57. ფარაონი; 58. ბერეტი; 59. ბერლინი; 60. საირმე; 61. სკაროსი; 62. ტაიგა; 63. აიდაჰო; 64. არია; 65. კაბუკი; 66. ციხე; 67. დონ; 68. გია; 69. დანტე; 70. ჰილი; 71. ნიცა; 72. ალბომი; 73. რვეული; 74. რაიანი; 75. ბოძი; 76. ერკემალი; 77. გიგო; 78. ექო; 79. კრეტა; 80. კიტრი; 81. მახრა; 82. გიბონი; 83. კვერცხი; 84. ქარვასლა; 85. პიცა; 86. ცემი; 87. ოხუნჯი; 88. ლევიტანი; 89. ტაჯიკეთი; 90. კორტი; 91. რინგო; 92. კამა; 93. არმანი; 94. კანბერა; 95. ვენტილაცია; 96. სკოტლენდ; 97. ტიტა; 98. ია; 99. ცაცია; 100. ლიმა; 101. ვარია; 102. ლევ; 103. ერა; 104. მლაშე; 105. ლაფი; 106. თასმა; 107. რიზ; 108. ხვავი; 109. კევინ; 110. თათარა; 111. მაზლი; 112. ალაბამა; 113. ლი; 114. მეტრი; 115. ფარი; 116. ზიზია; 117. იდო; 118. კლიტე; 119. სტოკერი; 120. ზღარბი; 121. ბედი; 122. რკინა; 123. ირისი; 124. ლიკრა; 125. მარტი; 126. ბიმი; 127. ნიმფა; 128. პო; 129. სკა; 130. ბესონი; 131. ეფა; 132. „აბბა“; 133. ბიო; 134. ალფა; 135. ფორტე; 136. მარკა; 137. სმა; 138. მიკ; 139. კოკი; 140. ალო; 141. ესე; 142. ჰაერი; 143. მეი; 144. სერ; 145. ერი; 146. ჯანი; 147. ამება; 148. ლა; 149. იყო; 150. ბონდი; 151. სჯა; 152. ალაო.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დოსტოევსკი. „ძმები ...“
2. მისი დედაქალაქია ვარშავა
3. ვენესუელის დედაქალაქი
4. დონ კიხოტ ...
5. მწერალი გუსტავ ...
6. „დათა თუთაშხია“ თაყაიშვილი
7. დროის საზომი მექანიზმი
8. დაწვეს: ჯორდანო ...
9. ქალაქი შვეიცარიაში
10. ნახტომი: ...-მორტალე
11. ქვეყნიერების დასასრული
12. ვიკონტ დე ბრაჟელონი (სახელი)
13. ქალაქი ლიტვაში
14. ამერიკელი მომღერალი ქალი
15. ფეხბურთელი ალექსანდრე ...
16. პოეტი ... ახმადულინა
17. ნაკურთხი წყალი
18. ტაძრის მოცეკვავე ქალი ინდოეთში
19. პერსონა ...-გრატა
20. ცირკის მოედანი
21. მონასტერი თბილისთან
22. ... ხაჩატურიანი
23. პოეტი აკაკი ...
24. შტატი აშშ-ში
25. მხ/ფ „... აყვავდა ხუში“
26. ბათუმის შემოგარენი
27. ... სუხიშვილი
28. მხ/ფ „... ზორბა“
29. მხატვარი ანრი ...
30. რეჟისორი მიხეილ ...
31. მხ/ფ „... ალქა-ჯები“
32. ბანდეროლი
33. გველი, ანუ ... (კუთხ.)
34. დედამიწის მიზიდულობა
35. მზის სხივი
36. ნიავი
37. ბუნებისმეტყველი ჩარლზ ...
38. მკვეხარა
39. ყურძნის ჯიში
40. ... დასთეს, იმას მოიმკი
41. რეჟისორი ... რიაზანოვი
42. მხ/ფ „... და შვილიშვილები“
43. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
44. მხარე საქართველოში, ცხობი-ლია კოშკე-ბით
45. მომღერალი კრისტინა ...
46. ველური მხალი
47. „20000 ... წყალქვეშ“
48. სასიმინდე
49. ყელის ტკივილი
50. კომპოზიტორი სერგეი ...
51. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
52. წისქვილის ქვა
53. მამაცი
54. კომბლეს ძროხა
55. მწვანე კაციჭამია მულტფილმიდან
56. ნაბიჯი ბალეტში
57. სამკურნალო მცენარე
58. თათქარიძეების მოსამსახურე გოგო
59. რომელი ბოსტნეულის რეკლამისთვის დახატეს თვალჭყეტელა მეხლვაური
60. საყანედ გაჩეხილი ტყე
61. მწერალი ლუიჯი ...
62. მსახიობი ... მონტანი
63. მხედველობის ორგანო
64. ქადი საქართველოში
65. კომში
66. ხვეწნა
67. ნიშნავს ქვას
68. მსახიობი ჯულია ...
69. მზის ამოსვლა
70. ბირმის დღევანდ. სახელწოდება
71. მსახიობი ... ვარდალოსი
72. ბუდისტი მასწავლებელი
73. ახალი ზელანდიის მკვიდრი
74. მოგზაური ფრიტიოფ ...
75. ქალაქი საფრანგეთში
76. მსახიობი ... როთი
77. კონდახიანი მშვილდისარი
78. კოსმონავტი ... ტერეშკოვა
79. ნილოსის რეპტილია
80. მუზეუმი მადრიდში
81. მრგვალძირა ქვაბი
82. მსახიობი ჯულიეტა ...
83. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
84. სასწორის ჯამი
85. პიონერთა საბჭოთა ბანაკი
86. მეთილის, ანუ ... სპირტი
87. თვითნასწავლი მხატვრობა
88. თმის საცხი
89. ნიშნავს ჩირქოვანს
90. ზღაპრული ჯუჯა
91. ჭამის სურვილი
92. მსახიობი ... პაპანოვი
93. ბრონტე. „ჯეინ ...“
94. იაპონური თეატრი
95. მხ/ფ „უცხო“ ლეიტენანტი ...
96. დეფორმირებული ძვლების მკურნალი ექიმი
97. რაიმეს სახელური
98. „ნატვრის ხე“ ჯაჭვლიანი
99. ფალიაშვილის ოპერა
100. ღმერთი სკანდინ. მითებში
101. ჩოგბურთელი ანდრე ...
102. გასაღები
103. საფრენი აპარატი
104. ყვავილების კონა
105. საწერი მასალა ძველ ეგვიპტეში
106. მსახიობი ... კახიანი
107. ზღვრული ნორმა
108. დიდი კაშკაშა მეტეორი
109. მეკობრე
110. სამშენებლო მასალა
111. ბატი მულტფილმიდან
112. ხელბარგი
113. მსახიობი ... ლიოტა
114. იაპონური ავტომობილი
115. ცხენის რძის სასმელი
116. მაროკოს დედაქალაქი
117. მსახიობი ... დე ნირო
118. დიდი ჩაქუჩი
119. ჩუქჩების სახლი
120. ქურციკი
121. პატარა ტანის ძაღლი
122. ცხვრების ერთობლიობა
123. პოეტი ... მირცხულავა
124. რეჟისორი ... კავალეროვიჩი
125. მხ./ფ „... სახლში“
126. ქვიშა
127. მშობლიური მიწა-წყალი
128. სუბტროპიკული მცენარე
129. მსახიობი ... ოლივიე
130. მდინარე ქუთაისში
131. მსახიობი ... პაჩინო
132. ტელეფონის გამომგონებელი ალექსანდრე ...
133. ვერცხლის ათცენტიანი
134. „... პიტკინი საავადმყოფოში“
135. მომღერალი ... ბადურაშვილი
136. სირაქლემას სახეობა
137. შოტლანდიური ნაგაზი
138. ბედი
139. ამერიკელ. მეტსახელი მექსიკაში
140. გაუშლელი ფოთოლი
141. რეჟისორი ჯონ ...
142. ძვ. თბილისური მიმართვა
143. გიტარის მავთული
144. სწრაფი ტემპი მუსიკაში
145. ანწლი
146. იაპონური ჭადრაკი

პასუხები: 1. კარამაზოვები; 2. პოლონეთი; 3. კარაკასი; 4. ლამანჩელი; 5. ფლობერი; 6. ასინეთა; 7. საათი; 8. ბრუნო; 9. ბაზელი; 10. სალტო; 11. აპოკალიფსი; 12. რაული; 13. კლაიპედა; 14. მადონა; 15. ჩივაძე; 16. ბელა; 17. აიაზმა; 18. ბაიადერი; 19. ნონ; 20. არენა; 21. ბეთანია; 22. არამ; 23. წერეთელი; 24. აიოვა; 25. როცა; 26. კვარიათი; 27. ილიკო; 28. ბერძენი; 29. მატისი; 30. თუმანიშვილი; 31. ისტვიკელი; 32. ამანათი; 33. უხსენებელი; 34. გრავიტაცია; 35. ათინათი; 36. სიო; 37. დარვინი; 38. ტრაბახა; 39. ალადასტური; 40. რასაც; 41. ელდარ; 42. დიდედები; 43. მედინა; 44. სვანეთი; 45. აგილერა; 46. პანტა; 47. ლიე; 48. ნალია; 49. ანგინა; 50. რახმანინოვი; 51. კილიმანჯაროს; 52. დოლაბი; 53. გულადი; 54. ჭრელა; 55. შრეკი; 56. პა; 57. სალბი; 58. ლამაზისეული; 59. ისპანახი; 60. ახო; 61. პირანდელო; 62. ივ; 63. თვალი; 64. ლიხი; 65. ბია; 66. მუდარა; 67. ლითი; 68. ორმონდი; 69. აისი; 70. მიანმა; 71. ნია; 72. გურუ; 73. მაორი; 74. ნანსენი; 75. ლიონი; 76. ტიმ; 77. არბალეტი; 78. ვალენტინა; 79. ნიანგი; 80. პრადო; 81. კარდალა; 82. მაზინა; 83. გალაპაგოსი; 84. პინა; 85. „არტეკი“; 86. ხის; 87. ნაივი; 88. ბრიოლინი; 89. პიო; 90. გნომი; 91. მადა; 92. ანატოლი; 93. ეარი; 94. ნო; 95. რიპლი; 96. ორთოპედი; 97. ტარი; 98. გედია; 99. „დაისი“; 100. ოდინი; 101. აგასი; 102. კლიტე; 103. დირიჟაბლი; 104. თაიგული; 105. პაპირუსი; 106. ეკა; 107. ლიმიტი; 108. ბოლიდი; 109; პირატი; 110. კირი; 111. ტასიკო; 112. ტვირთი; 113. რეი; 114. „ნისანი“; 115. კუმისი; 116. რაბატი; 117. რობერტ; 118. ურო; 119. იასამანი; 120. ნიამორი; 121. ფინია; 122. ფარა; 123. ალიო; 124. ეჟი; 125. მარტო; 126. სილა; 127. მამული; 128. სორგო; 129. ლოურენს; 130. რიონი; 131. ალ; 132. ბელი; 133. დაიმი; 134. მისტერ; 135. ნინი; 136. ემუ; 137. კოლი; 138. სვე; 139. გრინგო; 140. კვირტი; 141. ვუ; 142. ტო; 143. სიმი; 144. პრესტო; 145. ავი; 146. გო. იკითხება: მონიკა ბელუჩი.

# ოჯახური ცხოვრების რეკორდები



თავდაპირველი ჩანაფიქრით, დედის დღეს – 3 მარტს, წესით, ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი უნდა ჩაენაცვლებინა, თუმცა ისე გამოდის, რომ მაინც ორივე დღეს აღვნიშნავთ – ჯერ მშვენიერი სქესის იმ წარმომადგენლებს ვულოცავთ, რომელთაც დედობის ბედნიერება არგუნა უფალმა, შემდეგ კი ვულოცავთ ყველა ქალს, განურჩევლად ასაკისა და ოჯახური მდგომარეობისა.

იმის გამო, რომ რეკორდსმენი დედების შესახებ სულ რამდენიმე დღის წინ მოგიყევით, ახლა ოჯახური ცხოვრების რეკორდებსაც გაგაცნობთ, სადაც მშვენიერი სქესი მთელი თავისი მშვენიერებითაა წარმოჩენილი.



– დავიწყოთ იმით, რომ თურმე, ერთდროულად ყველაზე მეტი წყვილის დაქორწინების რეკორდი 1988 წლის ოქტომბერში სეულში დამყარდა – საკუთარი ბედი ერთმანეთს მაშინ 6516-მა წყვილმა დაუკავშირა.

– ყველაზე დიდი მზითვი, რომლის შესახებაც ოფიციალური ინფორმაცია არსებობს, ელენა პატინიოს ეკუთვნოდა, ბოლივიელი მულტიმილიონერის, სიმონ იტურბი პატინიოს ქალიშვილს – 1929 წელს საყვარელ ქალიშვილს მამამ თავისი 125 მილიონი ფუნტი სტერლინგიდან მზითევში 8 მილიონი გაატანა.

– წინა ნომერში კი გითხარით, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში ყველაზე ბევრი – 69 შვილი – რუსი გლეხის, ვინმე თეოდორ ვასილევის მეუღლემ, ნეჟნამ გააჩინა, რომლებიც მოსკოვთან ახლოს სოფელ შუიში მე-18 საუკუნის შუა პერიოდში ცხოვრობდნენ.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ თეოდორ ვასილევს მეორე ცოლიც ჰყოლია, რომლისგანაც 18 შვილი შეეძინა – ექვსჯერ 2-2 ტყუპი და ორჯერ 3-3.

– თანამედროვეობას რომ გადავხედოთ, მსოფლიოში ყველაზე ბევრი შვილი 1921 წელს დაბადებულ ჩილელ ლეონტინა ალბინას ჰყავს, რომელმაც 1981 წელს 55-ე ბავშვი გააჩინა. როგორც ამბობენ, ცოცხალია თავად ლეონტინა ალბინა და მისი 40 შვილი.

– ძალიან რთული დავალების შესრულება მოუხდა 68 წლის ზიმბაბველ ტუმე ნზუმაკაზეს, რომელმაც შვილების დაბადების მოწმობები რომ მიეღო, იძულებული გახდა, სოფლიდან ქალაქ მუტარეს მერიაში ყველა ბავშვის ჩასაყვანად ავტობუსი დაექირავებინა.

მიზეზი ის გახლავთ, რომ ტუმეს 136 შვილი ჰყოლია! ცნობილია, რომ მერიის თანამშრომლები მთელი დღის მანძილზე შეუჩერებლად მუშაობდნენ, მაგრამ ტუმეს მხოლოდ 62 შვილის დარეგისტრირება მოასწრეს. ამის გამო, მომდევნო დღეებში ჩინოვნიკები თავად ესტუმრნენ სუპერმამას, რომელმაც ქალაქელებს თავის 24 ცოლთან ერთად უმასპინძლა.

– ყველაზე მრავალშვილიანი „სამეფო სისხლის“ ოჯახი XVI საუკუნეში მცხოვრებ ჰარტმან ლიხტენშტეინს ჰყავდა – გრაფინია ელისაბედ ცუ ზალმ-რეიფერშაიდტმა მას 24 შვილი გაუჩინა.

– დიდი ხნის მანძილზე ყველაზე ბევრჯერ დაქორწინების რეკორდი კალიფორნიელ ყოფილ სასულიერო პირს, გლინ (სკოტ) ვულფს ეკუთვნოდა, რომელიც 1908 წელს დაიბადა და რომელმაც ცხოვრების მანძილზე 27-ჯერ იქორწინა. ცნობილია, რომ ვულფს 25 სიდედრი ჰყავდა, რადგან ორ ცოლზე მან ორ-ორჯერ იქორწინა. შედეგად, ამერიკელი რეკორდსმენი 41 ბავშვის მამა იყო.

დღეს კი გინ ვულფი უკვე ექსრეკორდსმენია, რადგან ჩინეთში, კერძოდ კი ჩჟეძიანის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს 102 წლის გლეხი, რომელიც 38-ჯერ ყოფილა დაქორწინებული.

– როგორც გინესის რეკორდების წიგნი გვამცნობს, ამერიკაში ცხოვრობენ კეროლ და რიჩარდ რობლები, რომლებიც შეუღლების ყოველ წლისთავზე ხელახლა ქორწინდებოდნენ, ოღონდაც აუცილებლად სხვადასხვა შტატში. დღეს რობლებს ოფიციალურ ცოლ-ქმრად ამერიკის ორმოცდაათივე შტატის კანონმდებლობა აღიარებს.

– პერუელი რაქელ ტორეს გუტიერესმა აჯობა არა მხოლოდ თანამემამულე ქალებს, არამედ მშვენიერ სქესს მთელი მსოფლიოს მასშტაბით... ფიქციური ქორწინებებით. როგორც ამბობენ, მას მინიმუმ 200 ფიქციური ქორწინება აქვს გაფორმებული. რაქელმა, პრაქტიკულად, ბიზნესად აქცია ისეთ მამაკაცებზე დაქორწინება, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო პერუს მოქალაქეობის მიღება სჭირდებოდათ.

– მეუღლეები იდა და სიმონ შტერნები ვისკონსინის შტატის ქალაქ მილდოკიდან 1984 წელს განქორწინდნენ, როცა ცოლი 92 წლის იყო, ხოლო ქმარი – 98 წლის.

– მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ფეხმძიმობა 25 წელი(!) გრძელდებოდა. 1961 წელს მიანმის ქალაქ იანგონში მცხოვრებ 54 წლის ქალს საკეისრო კვეთის შედეგად საშვილოსნოდან ძვლად ქცეული ჩანასახი ამოაცალეს, რომელიც 1300 გრამს იწონიდან...

ჭინთვა, რომელიც უჩვეულო რეკორდის ავტორს 1936 წელს დაეწყო, მშობიარობით არ დასრულდა, რასაც ყურადღება რატომღაც არავინ მიაქცია.

– ევროპის ყველაზე ახალგაზრდა დედა 12 წლის ყოფილა – მას მელანი ჰქვია და გერმანიაში ცხოვრობს. მე-6 კლასში დაფეხმძიმებული გოგონა ბავშვს, მართალია, როგორც თოჯინას, ისე ექცევა, მაგრამ შვილზე ზრუნვასაც ნელ-ნელა სწავლობს. ისე კი, შვილის მოვლაში მას 29 წლის დედა ეხმარება.



– მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა დედა კი კოლუმბიელი მარტა არტუდუაგა გახლავთ, რომელმაც 1989 წელს შვილი მაშინ გააჩინა, როცა 9 წლის იუბილეს აღნიშვნამდე ერთი თვეღა რჩებოდა. ცნობილია, რომ მარტას შვილი 2300 გრამი დაიბადა, სრულიად ჯანმრთელი და სრულფასოვანი. გარდა ამისა, იმასაც ამბობენ, რომ მარტას პირველი მამაკაცი 6 წლისას ჰყოლია, რაც დედამისს დიდად არ გაჰკვირვებია. და ვინ იყო ბავშვის მამა? უცნობია...

– მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია ვირჯინიის შტატში მცხოვრები რალფ და კეროლინ კამინზების ოჯახი – ცოლ-ქმარს 5 შვილი ჰყავს და ხუთივე ერთსა და იმავე დღეს ყოფილა დაბადებული. არ იფიქროთ, ტყუპებზე იყოს საუბარი, არა! კეტრინი 1952 წელს დაიბადა, კეროლი – 1953 წელს, ჩარლზი – 1956 წელს, კლაუდია – 1961 წელს, ხოლო სილვია სამყაროს 1966-ში მოევლინა და ხუთივე 20 თებერვალს. სპეციალისტების განმარტებით, ალბათობა, რომ ერთ ცოლ-ქმარს ხუთივე შვილი ერთსა და იმავე დღეს გაუჩნდეთ, რიცხვებით შეიძლება ასე გამოისახოს: 1/17797577730 (ეს რიცხვი 3,5-ჯერ აჭარბებს მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობას).

– არანაკლებ საინტერესოა დაბადების დღეების დამთხვევის სხვა შემთხვევები. მაგალითად, გეტებორგში მცხოვრები კარლსონების ოჯახში მართლაც უჩვეულო „ტრადიციაა“: უკვე მეოთხე თაობის შვილები ერთსა და იმავე დღეს – 8 ოქტომბერს იბადებიან. ასე იყო 1883, 1912, 1947 და 1985 წლებში...

– 1977 წლის 21 მარტს ტენესის შტატის ქალაქ მემფისში მცხოვრებმა მისის ჯეიმს დაკმა 3 ტყუპის გაჩენას სულ რაღაც... 2 წუთი მოანდომა, თანაც ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე და ამით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი გინესის რეკორდების წიგნში.

– ყველაზე დიდი დრო ტყუპების გაჩენას იტალიელმა დენი ბერგმა მოანდომა – პირველი შვილი, რომელსაც დიანა დაარქვა, 1987 წლის 23 დეკემბერს „გამოძვრა“, ხოლო მეორე, რომელმაც სახელად მონიკა მიიღო, საშვილოსნოდან საკეისრო კვეთის შედეგად მხოლოდ 1988 წლის 30 იანვარს ამოაბრძანეს.

*telenir.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...



## საშუალო სტატისტიკური ქალი სიცოცხლის მანძილზე დაახლოებით 350 გრამ პომადას ჭამსო

არც ისე ბევრია, პრინციპში და ამ ინფორმაციამ იმის ინტერესიც გაგვიჩინა, გავიგოთ, რა რაოდენობით პომადას ყლაპავს საშუალო სტატისტიკური მამაკაცი? ვგულისხმობთ იმ მამაკაცებს, რომლებიც პომადას „ჩერეზ“ ქალის ტუჩები ეხებიან და არა იმ კაცუნებს, რომელთაც ვერ გაურკვევიათ, რომელ სქესს მიეკუთვნებიან!..

სპეციალისტების განმარტებით, საშუალო სტატისტიკური ქალი დღეში დაახლოებით 24 მილიგრამ პომადას ჭამს.

თუ ვივარაუდებთ, რომ ქალები ტუჩებზე პომადას დაახლოებით 55 წლის მანძილზე ისვამენ, ამასთანავე, კვირაში 5 დღე, გამოდის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ისინი სადღაც 350 გრამ პომადას ჭამენ.

ახლა რა არის მთავარი ამ ყველაფერში – როგორც სპეციალისტები ამბობენ, პომადის ასეთი მცირე რაოდენობაც კი სავსებით საკმარისია ჯანმრთელობის სერიოზულად დაზიანებისთვის.

ჩვეულებრივ, პომადა შედგება ცვილისგან, ცხიმებისა და ზეთებისგან, თუმცა ზოგიერთი მარკა უამრავ ქიმიურ ნივთიერებასაც შეიცავს, რაც ნაწარმის ფერზე, გემოსა და მდგრადობაზე ახდენს გავლენას.

კვლევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკაში ჩატარდა, სადაც კოსმეტიკაში ლითონის შემცველობას ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე. ჰოდა, მეცნიერებმა მოინდომეს, გაერკვიათ, რა რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა მარკა: ტყვიას, ალუმინს, სპილენძს, ტიტანსა და სხვა მსგავს მინარევებს.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ კოსმეტიკური პროდუქტების უმეტესობა ქალის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეებს უქმნის, ვინაიდან მათში ლითონის წილი ძალიან მაღალია. სიტუაციას ართულებს და ამძიმებს ის ფაქტიც, რომ კომპანიებს არ აქვთ არანაირი ვალდებულება, შეადგინონ და გაავრცელონ ნაწარმში გამოყენებული ლითონების ჩამონათვალი.

რასაკვირველია, პომადით გალამაზებული ტუჩები მამაკაცებს ძალიან კი მოგვწონს, მაგრამ ფაქტია, ორივე სქესს ექმნება საფრთხე და თუ საბოლოო უარს ვერ იტყვით, იქნებ მაქსიმალურად მაინც შეამციროთ პომადის გამოყენების სიხშირე?

*mainfun.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



მოსკოვი. ამერიკის დაზვერვის თანამშრომელი და მისი რუსი აგენტი კონსპირაციულ ბინაში სხედან, ჩაის სვამენ.

რუსი:

– მისმინე, მაიკლ, ახლა მე შენ საიდუმლო ინფორმაცია მოგაწოდე და ესე იგი, ჯაშუში ვარ?

ამერიკელი:

– არა, ვასია, ჯაშუში მე ვარ. შენ მოღალატე ხარ, მოღალატე!!!

*****

– ბილ გეითსის ანდერძი ყოველწლიურად ავტომატურ განახლებას განიცდის...

*****

– 2014 წელს უკრაინის ყველაზე უსაფრთხო ქალაქად ჩერნობილი დასახელდა!..

*****



პაციენტი ექიმს:

– ექიმო, სერიოზული პრობლემა გამიჩნდა: ერექცია აღარ მაქვს.

– არ ინერვიულოთ! ორი ვარიანტი გვაქვს. პირველი: ერთი ოპერაცია და ყველაფერი უცბად მოგვარდება. ღირებულება – 30 ათასი დოლარი. მეორე: ოპერაციების სერია თვის მანძილზე. ღირებულება – 10 ათასი დოლარი.

– ძალიან კარგი. უბრალოდ, ცოლს მოვეთათბირები და გადაწყვეტილებას ისე მივიღებ.

მეორე დღეს:

– აბა, რა გადაწყვეტილება მიიღეთ?

– (ოხრავს, ამოაყოლა მთელი გული) სამზარეულოს გარემონტება გადაწყდა...

*****

– საყვარელო, მე პირველი ქალი ვარ შენთვის?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო!

– აბა, თინიკო, ნინიკო, თაკო და მაკო?

– არა, ეგენი ქალიშვილები იყვნენ...

*****

– ტერორისტი, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებით სავსე თვითმფრინავი გაიტაცა, იმუქრება, რომ, თუ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ყოველ საათში თითო ტყვეს გაათავისუფლებს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გაზიანი სასმელების სიყვარულს მარილი იწვევს?



მარილის დაბნევა ჩხუბის მომასწავებელიაო, ამბობენ. მარილის სიყვარულიც ჩხუბს ნიშნავს, ოღონდაც ისეთს, რომელიც თვალისთვის შეუმჩნეველია, მაგრამ ორგანიზმი, შემდეგ კი ჯანმრთელობა გრძნობს და პრობლემებიც იქვე იწყება.

გარდა იმისა, რომ მარილი ადამიანის თირკმლებსა თუ სხვა ორგანოებზე ახდენს ძალიან ნეგატიურ გავლენას, კვლავაც ის ყოფილა მიზეზი გაზიანი სასმელების სიყვარულისა, რასაც, თავის მხრივ, არანაკლები უსიამოვნებები მოსდევს.

ბრიტანელი სპეციალისტების განმარტებით, გაზირებული სასმელების სიყვარული რაციონში სწორედ მარილის მაღალ შემცველობას უკავშირდება, რადგან რაც უფრო მარილიანია კონკრეტული პროდუქტი, მით უფრო მეტად უჩნდება ადამიანს სურვილი, როგორმე წყურვილს გაუმკლავდეს. ნისლიან ალბიონზე ისიც გამოითვალეს, რომ ყოველი ერთი გრამი მარილი 100 გრამით მეტი გაზიანი სასმელის დალევას იწვევს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ექიმები მშობლებს მოუწოდებენ, ძალიან დიდი ყურადღება გამოიჩინონ ბავშვების რაციონის მიმართ, რათა მათ საკმაოზე მეტად მავნებელი პროდუქტების: მარილისა და გაზირებული სასმელების მიღება შეამცირონ.

*medportal.ru*

## თავის ტკივილის გამაყუჩებლებს ქრონიკული შაკიკის გამოწვევა შეუძლია?



იმან, რაც გვგონია, რომ უსიამოვნებას მოგვიგვარებს, შესაძლოა, პირიქით, უსიამოვნება უფრო გააღრმავოს, როგორც ეს, მაგალითად, შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს.

შვედი სპეციალისტების განმარტებით, თავის ტკივილის გამაყუჩებლების რეგულარულმა მოხმარებამ, შესაძლოა, ქრონიკული შაკიკი გამოიწვიოს და მედიკამენტის მომხმარებელს კიდევ უფრო დიდი პრობლემები შეუქმნას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევა ჰეტებორგის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს და როგორც თავადვე ამბობენ, პარადოქსული დასკვნაც მიიღეს.

– რთული სათქმელია, რა იწვევს ამ უსიამოვნებას, მაგრამ კვლევამ აჩვენა, რომ ერთი თვის განმავლობაში ტკივილგამაყუჩებლის 10-ჯერ მიღება ქრონიკული შაკიკის გაჩენის რისკს მნიშვნელოვნად ამაღლებს, – ამბობენ შვედი მეცნიერები.

ცნობილია ისიც, რომ კვლევაში მონაწილეობა დაახლოებით 45 ათასმა ადამიანმა მიიღო. წინასწარი ინფორმაციით, ყველაზე ხშირად და სწრაფად მუდმივ ტკივილებს ტრიპტანების ჯგუფის პრეპარატები იწვევს, რომლებიც, ჩვეულებრივ, უეცარი შაკიკის საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მათი მიგნება სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენებს ჯანდაცვის სექტორს, რადგან მედიკამენტები, რომლებიც ამ დრომდე უსაფრთხოდ სახელდებოდა, საკმაოდ დიდი უსიამოვნების მომტანი აღმოჩნდა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*dr20.ru*

ვაკანსიები!!!

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს. ანაზღაურება 800 ლარი.
ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

„ალია“ და „ქრონიკა“
აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე.
ანაზღაურება 800 ლარი. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**4 მარტი:** გაუაზრებელი მოქმედების ან შეცდომის გამო მოხდება მოვლენა, რომელიც საკმაოდ საინტერესო შედეგებს გამოიწვევს. ნუ შეეცდებით ამის თავიდან აცილებას, სასიამოვნო თავგადასავლებს მოიკლებთ.

**კურო 22.04-21.05**
**4 მარტი:** ორ უკიდურესობას შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. თუ ოქროს შუალედს მოძებნით, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება.

**ტყუპები 22.05-21.06**
**4 მარტი:** თუ მოინდომებთ და საქმეებს დროულად შეუდგებით, წარმატებაც არ დააყოვნებს. დაამტკიცებთ, რომ საუკეთესო ხართ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**4 მარტი:** მზად იყავით, რათა დახმარების თხოვნაზე დაუყოვნებლივ იმოქმედოთ. არ იფიქროთ იმაზე, ეს რამდენად იმოქმედებს თქვენს საქმეებზე. შემდეგ ამოქაჩავთ.

**ლომი 23.07-22.08**
**4 მარტი:** ვალდებული არ ხართ, ვინმეს თქვენი ქცევის გამო განმარტებები მისცეთ. ყველამ საკუთარ თავს მიხედოს.

**ქალწული 23.08-22.09**
**4 მარტი:** ზოგჯერ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშეც შეიძლება ბევრი რამის მიღწევა. ეს დღე სწორედ ასეთია. ოღონდ არ მიეჩვიოთ მსგავს სიტუაციას, ყველაფერი დროებითია.

**სასწორი 23.09-22.10**
**4 მარტი:** თავს რაიმე პირობებით ნუ შეიბოჭავთ. ეს არცთუ ისე კარგად გამოგივათ და სიამოვნებასაც არ მოგანიჭებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**4 მარტი:** წარმატებას მიაღწევთ, თუმცა შედეგები იმაზე ნაკლები მოგეჩვენებათ, ვიდრე ელოდით. სადარდებელი არაფერია, უარესიც შეიძლება ყოფილიყო.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**4 მარტი:** დღეს შეიძლება საფუძვლიანად ავნოთ როგორც საკუთარ სულიერ სიმშვიდეს, ისე ჯანმრთელობას. მაქსიმალური წინდახედულება გმართებთ, რადგან საკუთარი თავის მეტს ამაში ვერავის გაამტყუნებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**4 მარტი:** შეიძლება ვიღაცამ სადარდებელი გაგიზიაროთ და სულიერად დაგამძიმოთ. შეეცადეთ, მსგავს საკითხებთან მიმართებაში მეტი სიმკაცრე გამოიჩინოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**4 მარტი:** ღრუბლები გაიფანტება და კარგად დაინახავთ, რამდენად უსაფუძვლო იყო თქვენი შიშები და განცდები. თამამად დაიწყეთ ნებისმიერი საქმე, ადვილად გაუმკლავდებით.

**თევზები 19.02-20.03**
**4 მარტი:** შეიმუშავეთ წესები, როგორ აწარმოოთ საოჯახო საქმეები. სასურველია, ეს ყველაფერი წერილობით ჩამოაყალიბოთ, რათა პრეტენზიების შემთხვევაში, საბუთი წარმოადგინოთ.

## ადრეულ ასაკში დაწყებული სექსუალური ცხოვრება... კიბოთი სრულდება?



ონკოლოგიის სფეროში ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული ბოლო შედეგები ცხადყოფს, რომ კიბოს გამოწვევა ძალიან მოულოდნელ მიზეზებსაც შეუძლია.

მაგალითად, გოგონები, რომლებიც ძალიან ჩქარობენ სექსუალური ცხოვრების დაწყებას, რისკავენ, დაავადდნენ საშვილოსნოს ყელის სიმსივნით.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ, რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ ისინი სექსუალურ ცხოვრებას, აღნიშნული საშიში დაავადების გაჩენის რისკიც მით უფრო იზრდება. ამასთანავე, რისკის სხვა ფაქტორების არარსებობა, მაგალითად, მოწევა და შემთხვევითი კავშირები, საშიშროებას მაინც არ ანელებს.

სპეციალისტების განმარტებით, გოგონების კატეგორიაში, რომელმაც სექსუალური ცხოვრება თუნდაც 20 წლის ასაკში დაიწყო, კიბოს გაჩენის რისკი მაინც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მათში, ვისაც მოთმინებამ 25 წლამდე არ უმტყუნა.

მნიშვნელობა აქვს ასაკს პირველი ფეხმძიმობის დროსაც, რაზეც ონკოლოგიური კვლევების საერთაშორისო სააგენტოს სტატისტიკაც მეტყველებს. კერძოდ, ახალგაზრდა დედებში გაცილებით ხშირად ჩნდება საშვილოსნოს ყელის სიმსივნე, ვიდრე მათ უშვილო თანატოლებში.

საინტერესოა იტალიელი და კანადელი სპეციალისტების კვლევის შედეგიც, რომლებმაც, ფაქტობრივად, ერთდროულად დაადგინეს, რომ პროსტატის კიბოსა და რძის მიღებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცებში, რომლებიც დღეში 1 ჭიქა რძეს სვამენ, კიბოთი დაავადების რისკი ორჯერ მაღალია. აღნიშნული უსიამოვნების მიზეზად, ექსპერტები ძროხის განსაკუთრებულ ჰორმონებს ასახელებენ, რომლებიც პროსტატაში სიმსივნური უჯრედების გამომუშავების პროვოცირებას იწვევენ.

მოკლედ, ადამიანის ჯანმრთელობას ლამის ყველა მხრიდან საფრთხე ელის და ძალიან დიდი ყურადღების გამოჩენაა საჭირო.

*aif.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ოჯახში ორი შვილი ჰყავთ: ერთი საშინელი პესიმისტი, მეორე გამოუსწორებელი ოპტიმისტი. საახალწლოდ მშობლებმა მოისურვეს, როგორმე ბავშვების ემოციები „გაეთანაბრებინათ“ და პესიმისტს სათამაშო ცხენი უყიდეს, ოპტიმისტს – ნამდვილი ცხენის... ნაკელი.

დილით ბავშვებმა გაიღვიძეს...

პესიმისტი:

– ეეჰ, ცხენი... როგორი პატარაა, მე კი დიდი მინდოდა... ყავისფერია, მე კი შავი მინდოდა... ხის არის, მე კი ნამდვილი მინდოდა...

ოპტიმისტი:

– ჩემთვის ცოცხალი უყიდიათ... ოღონდაც, გაქცეულა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ⋙ 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.55